# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№20 (10023) 2026 წლის 18 თებერვალი, ოთხშაბათი




## ქურდული ჯოჯოხეთი!!!

## ნიკოლოზ კვარაცხელიას სადისტური მკვლელობა

## მთელი საქართველოს სირცხვილია!




ძმები – ზურაბ და დავით კაკულიები



იხ. 7 გვ.

ბესარიონ ქვანია

ზურაბ მეორედ მოკვდა!



5

მიხეილ ყაველაშვილი:

## ქართველებს უფრო მეტი გვაქვს საერთო – ვიდრე გასაყოფი



10

## ერეკლეს გზით – ტრიუმფისკენ!

## რატომ გაწირეს გიგა ავალიანი?!

6






იხ. 8 გვ.

## შეშლილ მსოფლიოში ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი არ არსებობს!

## „გოიმი“, როგორც ლინგვისტური და სოციალური პრობლემა

## რა ანგრევს პიროვნებას და... საზოგადოებას?!



იხ. 9 გვ.



11

## ოთარ ჭითანავას ხსოვნას

შეწყდა მდინარის დინება ჩქარი
და ნაპირები გაქვავდა თითქოს.
ასეა, ერთხელ წუთისოფელი
ყველას მოგვიწყობს საკუთარ
დიდგორს.
ჩვენ იქ მარტო ვართ,
არ გამოჩნდება
აღარც მაშველი და აღარც მხსნელი.
სულ მისხალ-მისხალ აგვეწონება
ცოდვაც და მადლიც უჩინარ ხელით.
იძინე მშვიდად! ნათლის კიაფი,
შენი მარადი სასახლის თავზე
გვამცნობს, იყავი მთელი ცხოვრება
მხოლოდ მადლით და
სიკეთით სავსე!
ამიერიდან უფლის ხატია
შენი მეგზური და წინამძღვარი
და გულში გიკრავს
შვილს უსაყვარლესს
შენი ზუგდიდი, შენი მანცხვარი!

**რაულ ჩილაჩავა,**

17 თებერვალი, 2026, თბილისი

თეიმურაზ ჯანელიძე



## „ტყუილი ასწრებს, შემოიაროს მსოფლიო, სანამ სიმართლე შარვალს ჩაიცვამს...“

5

უინსტონ ჩერჩილი

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE



# საქართველოს პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოში ყოველწლიური მოხსენებით წარდგა



## მიხეილ ყაველაშვილი:

# ქართველებს უფრო მეტი გვაქვს საერთო — ვიდრე გასაყოფი



**„კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, სახელმწიფო ინსტიტუტების თითოეულმა წარმომადგენელმა მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ, ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მჭიდრო კოორდინაციას პრეზიდენტის ინსტიტუტს, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და პარლამენტს შორის“...**

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, დღეს, სახელმწიფო მტკიცედ იცავს საქართველოს სუვერენიტეტს, ეროვნულ ინტერესებსა და იმ ფუნდამენტურ ღირებულებებს, რომლებიც განსაზღვრავს ჩვენი სახელმწიფოებრიობის არსს. საქართველოს გრძელვადიანი განვითარებისთვის აუცილებელია, რომ მომავალი თაობებისთვის ამოსავალი წერტილი იყოს საკუთარი სამშობლოს სიყვარული, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გაფრთხილება, ოჯახური ღირებულებებისა და ტრადიციების პატივისცემა. 2025 წლის შეჯამებისას, პრეზიდენტმა თქვა, რომ გასული წელი მსოფლიოსთვის წყალგამყოფი გახდა.

**„უკვე აშკარად იკვეთება, რომ საერთაშორისო წესრიგი ფუნდამენტურად იცვლება და ქვეყნები საკუთარი ეროვნული ინტერესების გასატარებლად და სტრატეგიული მიზნების მისაღწევად, დიპლომატიური მიდგომების პარალელურად, ხისტ ძალას უფრო და უფრო ინტენსიურად იყენებენ“,** – აღნიშნა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

გასულ წელს საქართველოს გარშემო განვითარებულმა მოვლენებმა, კიდევ ერთხელ, ფაქტებით დაადასტურა, რომ საფრთხეები და გამოწვევები, რომლებზეც ბოლო წლების განმავლობაში ხელისუფლება საჯაროდ საუბრობდა, რეალური იყო.

**„დღეს კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რომ ის ზეწოლა და შანტაჟი, რომელიც გარე ძალებისგან მომდინარეობს მათ მიერ მართული შიდა აქტორების გამოყენებით, ემსახურება საქართველოში და მთლიანად რეგიონში პროცესების ესკალაციას. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ უკრაინაში ომის დაწყებიდან მოყოლებული, საქართველომ უმძიმეს ზეწოლას გაუძლო, რაშიც, ხელისუფლებასთან ერთად, ჩვენმა საზოგადოებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.**

**ქართველმა ხალხმა მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ უჩვენა, რომ სირთულეებსა და უსამართლობას ერთიანობით, ეროვნული ინტერესებისა და ჩვენში ღრმად გამჯდარი ღირებულებების ერთგულებით ვპასუხობთ“,** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. მისი თქმით, ხელისუფლების პრაგმატული და მრავალვექტორული საგარეო პოლიტიკის არსი მშვიდობისა და დამოუკიდებლობის დაცვაა.

**„არსებული საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ეფექტიანად მოქმედების შემთხვევაში, შეგვიძლია, რომ საქართველო საერთაშორისო პროექტების განხორციელებისთვის საკვანძო ქვეყნად ვაქციოთ. ხელი შევუწყოთ აზიის, ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას, განვიმტკიცოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონული ჰაბის სტატუსი და ჩვენს პარტნიორ ქვეყნებთან კავშირი კიდევ უფრო ინტენსიური გავხადოთ. ამ თვალსაზრისით, 2025 წელს მთავრობის მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. აღვნიშნავ ჩემს ვიზიტებს სომხეთში, აზერბაიჯანსა და თურქეთში, რომლებიც მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას და რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას ისახავდა მიზნად.**

**ცალკე აღნიშვნას იმსახურებს მეგობრული და საქმიანი შეხვედრები სერბეთში. ასევე, რამდენიმე დღის წინ ვუმასპინძლე ხორვატიის პრეზიდენტს, რომელთანაც ნაყოფიერი შეხვედრა გავმართე“.**

**„ახალი არავისთვისაა, რომ განსაკუთრებით უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ, ევროპული ბიუროკრატია უხეშად ერევა ჩვენი ქვეყნის შიდა საქმეებში და ხელმძღვანელობს ორმაგი სტანდარტებით. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ უჭირთ შეგუება, რომ საქართველო არის სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო. ისინი ჩვენს ქვეყანას თავიანთი გეოპოლიტიკური პროექტის ნაწილად აღიქვამენ, რომლის ფარგლებშიც საქართველომ მათ მიერ დასახული კონკრეტული მიზნები უნდა შეასრულოს. ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში, ჩვენი მხრიდან დადასტურებულია სრული მზადყოფნა სტრატეგიული პარტნიორობის აღდგენისა და ურთიერთობის სუფთა ფურცლიდან დაწყების შესახებ, რაც გამოიხატა „პარტნიორობის გზამკვლევის“ შეთავაზებაში, რომელშიც დეტალურად იქნებოდა გაწერილი ორივე ქვეყნის ინტერესები“,** – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

ქვეყნის საშინაო პოლიტიკაზე საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ 2025 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს გამორჩეული მნიშვნელობა ჰქონდა.

**„4 ოქტომბრის საღამოს განვითარებულმა მოვლენებმა სააშკარაოზე გამოიტანა რადიკალური ჯგუფების რეალური ჩანაფიქრი და მიზნები, ძალადობრივი გზით ხელში ჩაეგდოთ სახელმწიფო ინსტიტუტები და მოეხდინათ სახელმწიფო გადატრიალება“,** – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

**ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებთან ერთად ერთიანი, ძლიერი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო ავაშენოთ. ჩვენი ნაბიჯები ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ვსაუბრობთ მშვიდობაზე, არამედ რეალურად ვზრუნავთ მის უზრუნველყოფაზე, რაც ნდობის აღდგენისა და „ჩატეხილი ხიდების“ ხელახლა აგების გზაზე მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება გადაიქცეს.**

მიხეილ ყაველაშვილის განცხადებით, საგანგაშოა, რომ საქართველოს წინააღმდეგ მიმართული, აღნიშნული ძალადობრივი აქტი და ხელისუფლების დამხობის მცდელობა, ფაქტობრივად, ღიად იყო წაქეზებული და მხარდაჭერილი გარე ძალების მიერ.

როგორც მიხეილ ყაველაშვილმა თქვა, ქვეყნისთვის კვლავ უმთავრეს გამოწვევად ჩვენი ისტორიული ტერიტორიების ოკუპაცია რჩება.

**„ჩვენი გზავნილები მკაფიოა: ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებთან ერთად ერთიანი, ძლიერი, განვითარებული და მშვიდობიანი საქართველო ავაშენოთ. ჩვენი ნაბიჯები ადასტურებს, რომ არა მხოლოდ ვსაუბრობთ მშვიდობაზე, არამედ რეალურად ვზრუნავთ მის უზრუნველყოფაზე, რაც ნდობის აღდგენისა და „ჩატეხილი ხიდების“ ხელახლა აგების გზაზე მნიშვნელოვან წინაპირობად შეიძლება გადაიქცეს“.**

მან ასევე ისაუბრა ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე.

**გლობალურ დონეზე არსებული კრიზისული ვითარების ფონზე, სახელმწიფომ შეძლო ბიუჯეტის, ხელფასებისა და პენსიების ზრდის უზრუნველყოფა. არაერთი გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტის მონაცემებით დასტურდება, რომ ეკონომიკური ზრდის ტემპით, საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია“.**

პრეზიდენტი განათლების რეფორმასაც შეეხო.

**„ჩვენი მიზანი ისეთი განათლების სისტემის შექმნა უნდა იყოს, რომელიც ცოდნის მაღალ ხარისხთან ერთად, საკუთარი ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის განცდას ჩვენს მომავალ თაობებს ადრეული ასაკიდანვე აზიარებს. სწორედ ამ სულისკვეთებით არის ნაკარნახევი დაანონსებული განათლების რეფორმა, რომელიც, როგორც სასკოლო, ისე უმაღლესი განათლების, ფაქტობრივად, მთლიანი სისტემის რეფორმირებას ითვალისწინებს“,** – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თქვა, საზოგადოების ერთიანობასა და ქვეყნის ცნობადობაზე ქართულ კულტურასა და სპორტს დიდი გავლენა აქვს.

**„ფაქტია, კულტურა და სპორტი ჩვენი ქვეყნის ცნობადობის გაზრდის, ხალხის ერთიანობისა და ეროვნული იდენტობის განსაზღვრის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს, ამიტომ ჩვენი ვალდებულებაა, აღნიშნული სფეროების მაქსიმალურად ხელშეწყობა და განვითარება“,** – განაცხადა **მიხეილ ყაველაშვილმა.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, ქართულ ტრადიციებზე, იდენტობასა და კულტურაზე უმთავრესი გავლენა ქრისტიანულმა რელიგიამ იქონია.

**„2026 წელს ჩვენი გაქრისტიანებიდან 1700 წელს აღვნიშნავთ. ეს უდიდესი ისტორიაა, რომელიც შეგვახსენებს, რომ სწორედ აქ, საქართველოში ჩამოყალიბებულმა ქრისტიანულმა ცივილიზაციამ უამრავ დამპყრობელს გაუძლო. ჩვენს ხალხს კი ყოველი მომდევნო განსაცდელის გადალახვის შემდეგ რწმენა უფრო და უფრო უმყარდებოდა. საბედნიეროდ, დღეს ქართველი ერი ისევ მტკიცედ დგას და აგრძელებს იმ გრძელ გზას, რომელიც სათავეს 17 საუკუნის წინ იღებს“.**

როგორც საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, **დღეს მიმდინარე აჩქარებული გეოპოლიტიკური გარდაქმნებისა და მსოფლიოში არსებული არაპროგნოზირებადი, დაძაბული გარემოს ფონზე, საქართველო სახელმწიფოებრივი განვითარების ახალ ეტაპზე გადადის, რომლის ამოსავალი წერტილი სამშობლოზე ზრუნვა და დამოუკიდებლობის დაცვა უნდა გახდეს.**

**ქართველებს ბევრად მეტი გვაქვს საერთო, ვიდრე – გასაყოფი. ამიტომ უნდა შევძლოთ და გვერდით გადავდოთ ჭარბი ემოციები, მოვძებნოთ ის საკითხები, რომელთა გარშემოც შევძლებთ გაერთიანებას“,** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

* * *

**პრეზიდენტის გამოსვლის დასრულების შემდეგ სიტყვით პოლიტიკური ჯგუფებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები გამოვიდნენ.**

**საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, მთავრობის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელი პირები, სასამართლო ხელისუფლების, დედაქალაქის მერიის, საკრებულოს და საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები.**



# გაიხსნა მიგრაციის დეპარტამენტის ახალი შენობა

# ქვეყნიდან გაძევებულია 1300-ზე მეტი არალეგალი

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, შინაგან საქმეთა მინისტრ გეკა გელაძესთან ერთად, შსს მიგრაციის დეპარტამენტს ეწვია, თანამშრომლებს შეხვდა და ახლად აშენებული, თანამედროვე სტანდარტების ადმინისტრაციული შენობა დაათვალიერა.**



**1900 კვადრატულ მეტრ ფართობზე განთავსებული ორსართულიანი, ადმინისტრაციული შენობა 150 თანამშრომელზეა გათვლილი და მოიცავს უახლესი ინვენტარით აღჭურვილ სამუშაო ოთახებსა და ადმინისტრაციული წარმოებისთვის განკუთვნილ პროცედურულ სივრცეებს.**

შენობაში ფუნქციონირებს დაქტილოსკოპიური და ჰაბიტოსკოპიური მონაცემების აღებისთვის, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი ოთახი, ასევე თავშესაფრის მაძიებელთა მისაღები სივრცე. შენობა ადაპტირებულია განსაკუთრებული საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის. პროექტის ღირებულება 7 მლნ ლარამდეა და ის სრულად დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მიგრაციის დეპარტამენტში სტუმრობისას, **გეკა გელაძემ** პრემიერ-მინისტრს სტრუქტურული დანაყოფის სამუშაო სპეციფიკა გააცნო და ხაზი გაუსვა იმ მასშტაბურ რეფორმებს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, ბოლო პერიოდში განხორციელდა.

მისი თქმით, **გასულ წელს, აჭარის რეგიონში შეიქმნა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველო, გაიზარდა დეპარტამენტის საშტატო ერთეული და თანამშრომელთა ანაზღაურება, განახლდა ავტოპარკი.**

მიღწეული შედეგების შეჯამებისას, მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ გაძლიერებულმა საკანონმდებლო ჩარჩომ, თანამედროვე ინფრასტრუქტურამ და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესებამ, უკანონო მიგრაციასთან ბრძოლა კიდევ უფრო ეფექტიანი გახადა.

**გეკა გელაძემ** ყურადღება ასევე გაამახვილა მიგრაციის დეპარტამენტის კიდევ ერთ ინფრასტრუქტურულ პროექტზე – მიმდინარეობს დროებითი განთავსების ცენტრის სრულმასშტაბიანი რეკონსტრუქცია, რომელიც წელს დასრულდება. ცენტრი გათვლილი იქნება 150 დაკავებულ არალეგალ პირზე. პროექტის ღირებულება 4 მლნ ლარზე მეტია.

**უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. სტატისტიკური მონაცემებით, 2025 წელს ქვეყნიდან გაძევებულია 1300-ზე მეტი არალეგალი მიგრანტი, რაც 2024 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 207%-ით მეტია.**

**აღსანიშნავია, რომ მიგრაციის დეპარტამენტმა გასული 1 წლის განმავლობაში იმაზე მეტი არალეგალი მიგრანტი გააძევა ქვეყნიდან, ვიდრე ჯამურად ბოლო 10 წლის განმავლობაში. პრემიერ-მინისტრმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებს შედეგზე ორიენტირებული, წარმატებული საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადეს და უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის მიმართულებით წარმატებები უსურვეს.**

## ნომრის ციტატები

# ვერ ვიტან სულსწრაფობას და მეტიჩრობას!

**...როდესაც ხელისუფლება, პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა მინისტრი, სუს-ის ხელმძღვანელი ცდილობენ ფორმალური თუ არაფორმალური სამუშაო კონტაქტები დაამყარონ თავის კოლეგებთან (სუს-ის ხელმძღვანელი სპეცსამსახურების ხაზით, პრეზიდენტი ყაველაშვილი ვიცე-პრეზიდენტთან და სახელმწიფო მდივანთან კომუნიკაციის სახით), ამაზეც ისმის ისტერიული წამოძახილები, რომ საკმარისია, შევეშვათ ამერიკელებთან მეგობრობას, ჩავიდეთ მოსკოვში და იქ რაღაცები დავიწყოთ – გავხსნათ რკინიგზა და ა.შ.**

**მაშინ, როდესაც იმ დიდი გარიგების ერთ-ერთი წამყვანი ვიოლინო თუ არა დირიჟორი, იქნება აშშ-ს ახლანდელი ადმინისტრაცია, რომელთანაც პირიქით, რაც შეიძლება მეტი კონტაქტი უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ ამაზეა დამოკიდებული ჩვენი მომავალი ბედი, რომელსაც გადაწყვეტენ ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და დიდი ალბათობით, ჩინეთიც.**

**ეს მეტიჩრობა და სულსწრაფობა ქართულ პოლიტიკურ წრეებში (ამ თვისებებს ვერ ვიტან), როდესაც ყველა უცებ ხდება პოლიტოლოგი, ვირუსოლოგი, იმუნოლოგი, არაბოლოგი და ა.შ. უნდა ჩაანაცვლოს მეტმა სიბრძნემ – თითოეული სიტყვა უნდა გაიზომოს.**



**ენაზე კბილის დაჭერა არის ძალიან დიდი ხელოვნება და ამიტომ, შეეშვით კომენტარებს. ძალიან სწორად იქცევა ჩვენი ხელისუფლება – რუსეთმაც იცის ეს და ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც...**

დავით ქართველიშვილი

# მაიკ ბენცი ქართველ რადიკალებზე



**ხალხი, ვინც ქუჩაში გავიდა, ჩვენი გავლენის კვანძებია. ისინი არიან USAID-ის ხელფასზე, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელფასზე, NED-ის ხელფასზე,** – განაცხადა **მაიკ ბენცმა** ქართველ რადიკალებზე საუბრისას.

კიბერუსაფრთხოების ექსპერტმა და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილმა მაღალჩინოსანმა საქართველოში 2024 წლის მაისში „უცხოური გავლენის კანონთან" დაკავშირებით გამართულ საპროტესტო აქციებზე ისაუბრა.

ბენცი ხაზს უსვამს აშშ-ის „ორმაგ სტანდარტს" და აღნიშნავს, რომ **მაშინ, როცა თავად ამერიკაში ათწლეულებია მოქმედებს FARA (უცხოელი აგენტების რეგისტრაციის აქტი), ვაშინგტონი სხვა ქვეყნებს, მათ შორის საქართველოს, მსგავსი კანონმდებლობის მიღებას უკრძალავს, რადგან ამ ქვეყნებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის ქონა თავად სურს.**

ექსპერტის განმარტებით, **აშშ-ის ინტერესებში შედის, რომ სხვა სახელმწიფოებმა არ იცოდნენ, თუ ვინ ფინანსდება სახელმწიფო დეპარტამენტის, USAID-ისა თუ „დემოკრატიის ეროვნული ფონდის" (NED) მიერ, რათა ამ ორგანიზაციებმა შეუფერხებლად შეძლონ ადგილობრივ პოლიტიკაზე ზეგავლენა.**

გამოსვლაში ექსპერტი ამბობს, რომ **ქართველი დემონსტრანტები, რომლებიც „მოლოტოვის კოქტეილებითა" და პიროტექნიკით იბრძოდნენ, სინამდვილეში აშშ-ის მიერ ფინანსდებოდნენ. ბენცის ირონიული შეფასებით, პარადოქსულია, როდესაც ხალხი ქუჩაში გამოდის და ითხოვს, რომ „თვალებზე ხელი ააფარონ", რათა არ ჰქონდეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რომელი მედიასაშუალება, არასამთავრობო ორგანიზაცია თუ ინფლუენსერი ფინანსდება ფარულად უცხოური ძალის მიერ.**






# გეკა გელაძე: ნარკოდანაშაულის მიმართულებით უმკაცრეს ბრძოლას გავაგრძელებთ!

**ჩვენ საზოგადოებას დავპირდით რვა თვის წინ, რომ ნარკოდანაშაულთან ბრძოლა იქნებოდა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი და განვახორციელებდით უკომპრომისო ბრძოლას, შედეგიც სახეზეა,** – ამის შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, **გეკა გელაძემ** განაცხადა.

მინისტრის თქმით, მხოლოდ 2025 წელს 5000-ზე მეტი ნარკოდანაშაულში ჩართული ადამიანი იქნა დაკავებული, ხოლო 2000-ზე მეტი – ნარკორეალიზაციაში ჩართული პირი.

**„მხოლოდ მიმდინარე წელს, შემიძლია გითხრათ, რომ 300-მდე ნარკორეალიზაციაში ჩართული ადამიანი არის დაკავებული და მინდა, კიდევ ერთხელ დავპირდე საზოგადოებას, რომ ჩვენ ამ მიმართულებით გავაგრძელებთ უმკაცრეს პოლიტიკას, როგორც საპოლიციო ღონისძიებების, ისე საპრევენციო ხასიათის ღონისძიებების",** – განაცხადა **გელაძემ.**



# ივანიშვილის პარტია დასუსტების ნაცვლად ძლიერდება!

## ოპოზიციური „ერთობის დოკუმენტი“ ჩამოიშლება...



## „ლელოს“ უარი და „ნაცმოძრაობის“ შიდა განხეთქილება

**ქართული ოპოზიციური სპექტრი მორიგი პოლიტიკური დრამის ეპიცენტრშია. მიუხედავად დეკლარირებული მიზნისა, შეიქმნას ერთიანი ფრონტი „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ, რეალობა ბევრად უფრო ფრაგმენტული აღმოჩნდა. „ერთობის დოკუმენტი“, რომელიც ოპოზიციური ძალების კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად, სერიოზული წინააღმდეგობის წინაშე დადგა: პარტიამ „ლელო“ მასზე საბოლოოდ თქვა უარი, ხოლო ქვეყნის ყველაზე მსხვილ ოპოზიციურ გაერთიანებაში — „ნაციონალურ მოძრაობაში“, აზრთა სხვადასხვაობა იმდენად ღრმაა, რომ გადაწყვეტილების მიღება კვლავ ვერ ხერხდება.**

### „კოალიცია ცვლილებისთვის“: ვინ ქმნის ბარიერებს?

**„კოალიცია ცვლილებისთვის“ ლიდერები არ მალავენ იმედგაცრუებას და აცხადებენ, რომ დოკუმენტის გასაჯაროების შემდეგ, ყველა იმ ძალას, რომელიც ხელმოწერაზე უარს იტყვის, საზოგადოების წინაშე თავის მართლება მოუწევს.**



კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი **თენგო თევზაძე** პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი პოლიტიკური აქტორი ერთობის იდეას მხოლოდ დეკლარაციულ დონეზე უჭერს მხარს.

**„თუ ეს ერთობა ვერ შედგა, ყველას მოუწევს პასუხის გაცემა, მათ შორის, იმ ადამიანებს, ვინც ერთობის გულმხურვალე მხარდამჭერები არიან, მაგრამ ერთობა არასდროს შეუქმნიათ სხვასთან. პირიქით, ისინი ხელს უწყობენ მეტი ბარიერის შექმნას. მინდა ვთქვა, რომ უკვე არსებობს შეთანხმების დოკუმენტი, რომელიც რედაქციული ხასიათის ცვლილებებს საჭიროებს, შინაარსი და პრინციპები შეთანხმებულია. უახლოეს დღეებში ეს დოკუმენტი გახდება საჯარო. დოკუმენტზე ხელის მოწერის ნაწილში ვის რა არ მოსწონს, რატომ არ აწერს ხელს, ამაზე პასუხის გაცემა აუცილებლად მოუწევთ“,** — განაცხადა **თევზაძემ.**

თევზაძე ხაზს უსვამს, რომ ერთობა პიროვნულ სიმპათიებზე მაღლა უნდა იდგეს:

**„საქმე საქმეზე რომ მიდგება, ერთიანობასთან დაკავშირებით მესმის ზუნდოვანი პოზიცია. ვინმეს არ მოსწონს თენგო თევზაძე, ნიკა გვარამია, ნიკა მელია და ა.შ. — მოწონებაზე არ არის საუბარი. აქ არის ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის ეროვნული ინტერესი. ახლა მნიშვნელოვანია ოპოზიციის ერთიანობა, გაერთიანება. ერთიანობასთან ერთად უნდა გავშალოთ ბრძოლის სტრატეგია, თუ როგორ უნდა დავასუსტოთ ივანიშვილის რეჟიმი“,** — განაცხადა **თევზაძემ.**

### ქაოსი „ნაცებში“ და „ფედერალისტების“ კრიტიკა

**სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ვითარება „ნაციონალურ მოძრაობაში“, სადაც, როგორც ჩანს, რამდენიმე გავლენიანი ჯგუფია, თანაც სხვადასხვა მიმართულებით.**

„ფედერალისტების“ ლიდერი **თამარ ჩერგოლეიშვილი** ღიად საუბრობს პარტიის შიგნით არსებულ დაბნეულობაზე.



**„ეს არ არის დახურული დოკუმენტი, ეს არ არის დროში შემოსაზღვრული დოკუმენტი. უბრალოდ, ჩვენ გვეჩქარება, პროცესი უნდა დავძრათ. „ნაციონალურ მოძრაობასთან“ მიდის მოლაპარაკებები, მიშა სააკაშვილის წარმომადგენელი იყო ბოლო შეხვედრაზე. თვლის, რომ ბარამიძემ უნდა წარმოადგინოს მისი ინტერესები. ბოკუჩავა სხვა რაღაცაზე ლაპარაკობს და ჯობია შიგნით ჩამოყალიბდნენ და როცა ჩამოყალიბდებიან, მერე იტყვიან. მოლაპარაკებებში მონაწილეობს და თავის ვარიანტებს გვთავაზობს სააკაშვილის სახელით, ბარამიძე და უნდა ხელმოწერა, ყოველ შემთხვევაში, ამას ამბობს“,** — განაცხადა **ჩერგოლეიშვილმა.**

### „ნაციონალური მოძრაობისა“ და ხელისუფლების პოზიციები

**მიუხედავად შიდა დაპირისპირებისა, „ნაციონალური მოძრაობის“ ოფიციალური პოზიცია კვლავაც ბუნდოვანია. თინა ბოკუჩავას განცხადებით, პარტია ყოველთვის იყო და იქნება ერთობის მომხრე, თუმცა ისინი აქცენტს უფრო ფართო, სტრატეგიულ თანამშრომლობაზე აკეთებენ და არა მხოლოდ კონკრეტულ ფურცელზე ხელმოწერაზე. პარტიის წევრთა ნაწილი მიიჩნევს, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“, როგორც მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, საკუთარი იდენტობა არ უნდა დათმოს მცირე რეიტინგის მქონე ჯგუფებთან გაერთიანებით.**

მეორე მხრივ, მმართველი გუნდი — „ქართული ოცნება“, ოპოზიციის ამ მცდელობებს ირონიით უყურებს. ხელისუფლების წარმომადგენლები, მათ შორის **ირაკლი კობახიძე** და **შალვა პაპუაშვილი,** აცხადებენ, რომ ეს არის „კოლექტიური ნაცმოძრაობის“ მორიგი უშედეგო მცდელობა, გადაირჩინონ თავი.

მათი თქმით, ოპოზიციას არ გააჩნია საერთო ღირებულებები და მათ მხოლოდ „რევოლუციური სცენარები“ და ძალაუფლების წყურვილი აერთიანებთ.

**„ეს არის უპრინციპო ადამიანების ერთობა, რომლებსაც ერთმანეთი სძულთ, მაგრამ პატრონების დავალებით ცდილობენ, ერთად ყოფნის იმიტაცია შექმნან“,** — აცხადებენ სახელისუფლებო გუნდში.

შესაბამისად, დოკუმენტი, რომელიც ოპოზიციის გადარჩენის გეგმად იყო ჩაფიქრებული, ამ ეტაპზე, უფრო მეტ კითხვის ნიშანს აჩენს, ვიდრე პასუხს. თენგო თევზაძის თქმით, ერთობა უნდა დაეფუძნოს ორ მთავარ მოთხოვნას: პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და ახალი, სამართლიანი არჩევნების დანიშვნას. თუმცა, სანამ ოპოზიციური პარტიები შიდა ამბიციებსა და რედაქციულ ცვლილებებში არიან ჩაკარგულები, დრო ხელისუფლების სასარგებლოდ მუშაობს. უახლოესი დღეები გადამწყვეტი იქნება: გახდება თუ არა დოკუმენტი საჯარო და ვინ დარჩება „ერთობის მიღმა“, საკუთარი პოზიციების ასახსნელად?

### დამარცხებულების ბრძოლა პირველობისთვის

**ანალიტიკოსი პეტრე მამრაძე ამ პროცესს for.ge-თან აფასებს და ოპოზიციის მცდელობას სკეპტიკურად უყურებს.**

მისი თქმით, ასეთ ერთობაზე ხელის მოწერას აზრი არა აქვს, რადგან სალომე ზურაბიშვილის ქარტიებიც კარგად გვახსოვს, რამაც შედეგი ვერ გამოიღო.

**„რაც მოიტანა სალომე ზურაბიშვილის ქარტიებმა, იმავეს მოიტანს ეს ქარტიაც. ამ ყველაფერს ექნება ნული შედეგი. იდეა, რომელიც მათ აქვთ, ეს არის ხელისუფლების ხელში ჩაგდება, თანაც არა საარჩევნო გზით. კერძოდ, ეს მათთვის ნიშნავს რაღაცა სახის კოლაფსს, როგორც ეს „ვარდების რევოლუციის“ დროს იყო, რომლის შედეგადაც, ხელისუფლება იძულებულია, გადადგეს და ახალი არჩევნები დანიშნოს.**

**სხვანაირად, საქართველოს კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრავს, როდის უნდა დაინიშნოს ხელახალი არჩევნები და ამის მსგავსი საფუძველი არაფერია. ამ იდეების მიმდევრები რომ არიან, პრაქტიკულად, ვერაფერზე ვერ თანხმდებიან და ერთმანეთს ადგილებს ვერ უთმობენ. სამომავლო გეგმაში, ვინ ჩაიგდებს ხელში ძალაუფლებას და ვის რომელი ადგილი შეხვდება, ამაზე ვერ თანხმდებიან. წარმოიდგინეთ, რა ძალებთან გვაქვს საქმე, რომ ჯერ ხელში ხელისუფლება არ ჩაუგდიათ და უკვე ვერაფერს ვერ იყოფენ“,** — ამბობს **მამრაძე.**

მისივე თქმით, კარგად იციან, რომ ხელისუფლება ამაზე არ წავა და ამ ეტაპზე, ამის არანაირი პოლიტიკური წინაპირობა ქვეყანაში არ დგას.

**„ძნელია, საღად მოაზროვნე ადამიანებისთვის ამის დაჯერება, რომ ქვეყანაში ამათ ვინმე აჰყვება და არეულობა დაიწყება, მაგრამ აგერ, პაატა ბურჭულაძე, მურთაზ ზოდელავა ხომ ფიქრობდნენ ასე. მათ სჯეროდათ, რომ მივლენ ადმინისტრაციულ შენობასთან, ამას აიღებდნენ და ძალაუფლება მათ ხელში გადავიდოდა. მაგალითად, როგორც ეს ელიავას ამბოხი იყო — 1992 წელს, ტელევიზიაზე თავდასხმა. ასეთი ადამიანები, ძირითადად, საკმაოდ შეძლებულები და მდიდრები არიან, რომლებიც პოლიტიკაში ყოფნით ცდილობენ, გარკვეული დივიდენდები მიიღონ. მაგალითად, როგორც ეს მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის შემთხვევაში მოხდა.**

**პოლიტიკაში მხოლოდ იმიტომ შემოვიდნენ, რომ პოლიტიკური დევნილების სტატუსი ჰქონდეთ. როგორც ჩანს, ახლა „ლელოს“ უარი განპირობებულია იმით, რომ მათ უნდათ, საკუთარი პარტიულობის ნიშის და ე.წ. განსაკუთრებულობის სტატუსის შენარჩუნება. „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებული ჩამოუყალიბლებლობა კი, რა თქმა უნდა, ახალი არ არის. მაინც ცდილობენ ენმ-ში, რომ დანარჩენ ოპოზიციაზე ზემოთ იდგნენ და მთავარი წამყვანი ძალა თავად იყვნენ. ეს ზემოდან ყურების ამბიცია კიდევ აქვთ, მიუხედავად იმისა, რომ „ნაცმოძრაობა“ უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფება“,** — ამბობს **მამრაძე.**

მოამზადა

**ლიკა ბერიკაშვილმა**

# 94 წლის სიცოცხლით სავსე კაცი



**საქართველოს გზათა სამეცნიერო-კვლევითი და საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექსური ინსტიტუტის – შპს „საქგზამეცნიერება“-ს შრომითი კოლექტივი** დიდი პატივისცემით და სიყვარულით გილოცავთ დაბადებიდან **94-ე წლისთავს, 19 თებერვალს,** ინსტიტუტის დამფუძნებელს და გენერალურ დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორს, საქართველოს მეგზევეთა საზოგადოების თავმჯდომარეს, თბილისის და ბათუმის საპატიო მოქალაქეს, ბატონ **თამაზ ანდროს ძე შილაკაძეს** და გისურვებთ ჯანმრთელობას, ხანგრძლივ სიცოცხლეს და შემდგომ შემოქმედებით მოღვაწეობას ჩვენი ქვეყნის და მისი მრავალრიცხოვანი დინასტიის – მეუღლის, ორი შვილის, სამი შვილიშვილის და ხუთი შვილთაშვილის საკეთილდღეოდ.

ბატონო თამაზ, თქვენ ბრძანდებით შესანიშნავი, სიცოცხლით სავსე ადამიანი, ყურადღებიანი და მზრუნველი ოჯახის წევრების, მეგობრების, კოლეგების და ახლობლების მიმართ, თქვენ ვალმოხდილი ხართ როგორც ჩვენი საზოგადოების, ისე თქვენი დინასტიის ყველა წევრის მიმართ და თქვენ ხართ ცხოვრების მაგალითი როგორც ჩვენთვის, ისე მათთვის.

**ბატონო თამაზ, კიდევ ერთხელ გილოცავთ წლევანდელ დაბადების დღეს და დიდი სიყვარულით ველოდებით დიდსაუკუნოვან იუბილეს! ჩვენი კოლექტივი თქვენ გვერდითაა.**

**შპს „საქგზამეცნიერება“-ს თანამშრომლები**

---

**უფროსი თაობის ადამიანებს კარგად გვახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლების შავბნელი პერიოდი, როცა ყოფითი ხასიათის სირთულეების მიუხედავად, ოპტიმისტურად ვიყავით განწყობილი და ახალ წელსაც ხალისიანი განწყობით ვეგებებოდით.**

**ერთი შეხედვით პარადოქსია, მაგრამ ნანატრი დამოუკიდებლობის მოპოვებიდან 35 წლის შემდეგ იმდროინდელი ოპტიმისტური განწყობიდან თითქმის არაფერია დარჩენილი და რიგითი ადამიანების გამომეტყველებაში შიშნარევი უიმედობა შეინიშნება.**

# „ტყუილი ასწრებს, შემოიაროს მსოფლიო, სანამ სიმართლე შარვალს ჩაიცვამს...“

## უკეთესის იმედით, უარესის გაძლებით

**ვერ გეტყვით, რომელი სუბიექტური ფაქტორებით ხსნიან ასეთ მეტამორფოზას სოციოლოგები ან ფსიქოანალიტიკოსები, მაგრამ დამაფიქრებელი იყო ქართული ჩიჩილაკის რეალიზატორთა იდენტური სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ 2026 წლის წინასაახალწლო დღეებში, ამ მნიშვნელოვანი ატრიბუტის გაყიდვის მაჩვენებელი საგანგაშოდ შემცირებულია, რასაც მხოლოდ ეკონომიკურ სიდუხჭირეს ვერ დავაბრალებთ.**

მოგეხსენებათ, ახალი წელი წარსულის შეჯამებისა და სამომავლო ამოცანების განსაზღვრის თვალსაზრისით, საუკეთესო პერიოდია და ასე იყო ამ შემთხვევაშიც, რასაც იტალიის პრემიერ-მინისტრის ორაზროვანი შეფასებაც თვალნათლივ ადასტურებს: დრამატული მოვლენებით აღსავსე 2025 წელი კი გავაცილეთ, მაგრამ თავს ნუ დავიმშვიდებთ, მომავალი წელი გაცილებით რთული და არაპროგნოზირებადი იქნებაო, განაცხადა ჯორჯია მელონიმ, რომელიც მის ზოგიერთ კოლეგებთან შედარებით, წინდახედული პოლიტიკოსის შთაბეჭდილებას ტოვებს. ქალბატონმა ჯორჯიამ, ცხადია, ჩვენზე უკეთესად იცის, თუ როგორი პროცესები მიმდინარეობს კულისებს მიღმა პოლიტიკაში და ამიტომაც არის მისი შეხედულება ფასეული.

**თანამედროვე ომები თოფის გასროლამდე იწყება და გასროლის მერეც გრძელდებაო, ნათქვამი აქვს დიდებულ ქართველ მწერალ ოთარ ჭილაძეს. ეს რომ ასეა და არა სხვანაირად, ქართველებს სხვაზე უკეთ მოგვეხსენება, რადგან საკუთარ თავზე გვაქვს გამოცდილი ომის ყველა სახეობა, ცივი იქნებოდა იგი, ცხელი, იდეოლოგიური თუ, ყველაზე თანამედროვე, ჰიბრიდული. მართალია, ამჟამად, ხელისუფლების მოზომილი და ფრთხილი პოლიტიკის წყალობით, კლასიკური ომის მდგომარეობაში არ ვიმყოფებით, მაგრამ ისეთი პროპაგანდისტული შეტევა ხორციელდება ამ პატარა საქართველოს წინააღმდეგ, ცივი ომის იდეოლოგებსაც რომ შეშურდებოდათ.**

სამხედრო თვალსაზრისით ძლევამოსილი და მაღალი პოლიტიკური გავლენების მქონე სახელმწიფოების აგრესიულ დამოკიდებულებას, ასე თუ ისე, მოუძებნი რაღაც ახსნას, მაგრამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისეთი პოლიტიკური ლიდერების წრეგადასული აგრესია იწვევს გაკვირვებას, რომლებსაც არავითარი წონა არ გააჩნიათ საერთაშორისო ასპარეზზე.

**მარჯნის სამკუთხედის წყლებში ბინადრობს შემზარავი შესახედაობის ჭრელი გველი, რომლის შხამი 100-ჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე გიურზას შხამი. ეს სახეობა იმდენად ხარბია, რომ ყბის ამოგდებაც კი შეუძლია, დიდი ზომის მსხვერპლის გადასაყლაპად. მართალია, ყველა შედარება მოიკოჭლებს, მაგრამ მარჯნის სამკუთხედის წყლების ამ ბინადარს შევადარებდი ისეთ მარიონეტ პოლიტიკოსებს, რომლებიც საქართველოზე კბილებს ილესავენ და ჩვენი ღვთივკურთხეული სამშობლო მსხვერპლად ჰყავთ შეგულებული.**

ისტორიულმა მედუკულმართობამ და ჩვენმა გეოსტრატეგიულმა მდებარეობამ ისე მოიტანა, რომ უხსოვარი დროიდან მოყოლებული სქილასა და ქარიბდას შორის გვიხდებოდა მანევრირება, თუმცა, პარიტეტული ურთიერთობების ერთგული საიმედო მფარველი არასოდეს გამოგვიჩნდა. ათასგვარი განსაცდელისა და მტრულად განწყობილი გარემოცვის მიუხედავად, ისრაელის სახელმწიფო ახერხებს ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილურ განვითარებას, რადგან ჰყავს გავლენიანი მფარველი ამერიკის შეერთებული შტატების სახით. ანალოგიურ მდგომარეობაშია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანი, რომელსაც თურქეთი უწევს სტრატეგიულ პარტნიორობას, რაც რელიგიური კუთვნილებითაც არის გამყარებული.

რუსეთის ფედერაციისადმი ლოიალურ დამოკიდებულებაში ყოვლად უსაფუძვლო ბრალდების მიუხედავად, ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის მიმართულებითაც არ გადაუდგამს ნაბიჯი, არადა, ამის გარეშე, ურთიერთობის ნორმალიზება ყოვლად წარმოუდგენელია.

უკვე წელიწადზე მეტია, მოთმინებით ველოდებით სასიკეთო გზავნილებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისგან, მაგრამ მარკ რუბიოს ჩხერიმელას კალმახივით აქვს პირში წყალი ჩაგუბებული.

ეს მაშინ, როცა უფლებაყრილ ქართველებს რუსეთის მიერ ოკუპირებული ძირძველი ტერიტორიების დაბრუნებაზეც კი აკრძალული გვაქვს ხმამაღლა საუბარი.

ასეთი იძულებითი თავმდაბლობისა და ფრთხილი პოლიტიკის მიუხედავად, გეოგრაფიულ დასავლეთს, უნგრეთისა და სლოვაკეთის გამოკლებით, თევზის ფხასავით ვყავართ ყელში გაჩხერილი და ერთი სული აქვთ, თავგანწირული ბრძოლით მოპოვებულ სუვერენიტეტს როდის წაგვართმევენ. სწორედ ამ მზაკვრული ჩანაფიქრის სარეალიზაციოდ გამოიყენეს ორიენტაციადაკარგული მოლოდოვას პრეზიდენტი მაია სანდუ, რომელმაც გაერო-ს მაღალი ტრიბუნიდან ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებას დასდო ბრალი, კრემლის შანტაჟს არის დაქვემდებარებული და საქართველო რუსეთის ორბიტაზე დააბრუნაო!

მკითხველს უთუოდ ემახსოვრება ევროკომისარ მარტა კოსის აღიარება იმასთან დაკავშირებით, რომ ბრიუსელის ბიუროკრატია გამალებით ეძებდა გზებს ანტისახელმწიფოებრივად განწყობილი არასამთავრობო სექტორის დაფინანსების უზრუნველსაყოფად, საქართველოში მოქმედი კანონის გვერდის ავლით. როგორც გაირკვა, გამოუნახავთ ასეთი გზები და ესტონეთის რომელიღაც იავარქმნილი შენობის იურიდიულ მისამართზე დაურეგისტრირებიათ კაპიტან **ეკა გიგაურის** გამჭვირვალობის სახელით ცნობილი ბნელით მოცული ფონდის ფილიალი. ესტონეთი ის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკაა, რომლის პრემიერ-მინისტრი ამ ორიოდე წლის წინათ ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი კაია კალასი იყო, რომლის კავშირების გამოყენებით, ასეთი მანიპულაციების განხორციელებას მარტა კოსი მარტივად მოახერხებდა.

ხშირად გაიგონებთ, საქართველოს წინააღმდეგ კარგად ორგანიზებულ და ორკესტრირებულ დივერსიას აქვს ადგილიო, რაც სულ არ გახლავთ შეთქმულების თეორიის პროდუქტი. მაგალითისთვის, შეგვიძლია მოვიყვანოთ დადასტურებული ფაქტი, რომელიც იმის საუკეთესო ილუსტრაციას წარმოადგენს, თუ როგორი ერთსულოვნებით მოქმედებენ შინაური და გარეული მტრები.

არანაირი საქართველოს ხელისუფლება არ არსებობს, არსებობს მარიონეტული მთავრობა, არამკითხესავით განაცხადა უკრაინის პრეზიდენტის მრჩეველმა და უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილის სეხნიამ მიხაილო პოდოლიაკიმ.

ასეთ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა ქართული გვარ-სახელის მქონე ავანტურისტი ქალი მადამ პაპპადური, რომელმაც სიტყვა-სიტყვით გაიმეორა პოდოლიაკის დემაგოგიური მონაჩმახი: აღარ არსებობს საქართველოს მთავრობა, მარიონეტული მთავრობა გვყავს, რომელიც მოსკოვიდან იღებს ინსტრუქციებსო! მართალია, მადამ სალომე ნეიტრალურად განწყობილ ჟურნალისტებს არ სწყალობს, მაგრამ იქნებ ვინმემ მოახერხოს და ჰკითხოს, „ჯერაც ლეგიტიმური პრეზიდენტი“ პარიზიდან იღებს ინსტრუქციებს თუ ბრიუსელიდან?

ტყუილი ასწრებს, შემოიაროს მსოფლიო, სანამ სიმართლე შარვალს ჩაიცვამსო, ამბობდა ჩერჩილი. მართალია, ყოველი ახალი დეზინფორმაციის შემდეგ ბოდლერი ისე დაიბოღმა, სამთელქვეყნოდ განაცხადა, ეს არის ყველაზე აყროლებული ქალაქი მთელს მსოფლიოში! ჩვენი ვარაუდით, ბოდლერს მხედველობაში ექნებოდა ჰიგიენური მხარე, დღევანდელი ბრიუსელი კი პოლიტიკურად ისე არის დაბინძული, სიმყრალე საქართველოს დედაქალაქამდე აღწევს და ლამის ყბადაღებული ქიმიური პრეპარატის – კამიტის – ეფექტი აქვს ექსტრემისტულად განწყობილ მოქალაქეებზე.

ასეთი დღის წესრიგიდან გამომდინარე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაზაფხულის დადგომასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გააქტიურდებიან სტაჟიანი დემაგოგები. სავარაუდოდ, მარტის თვეში მარტა კოსი შეგვახსენებს თავს, რომელიც მარტის იდეების იმ ავბედით დღეს უნდა იყოს დაბადებული, როცა იულიუს კეისარი გამოასალმეს სიცოცხლეს შეთქმულებმა რომის სენატში. მაისში მაია სანდუ დადგება მიკროფონთან, ხოლო ზაფხულის პაპანაქებაში მიხაილ როთი და მიხაელ გალერი დაიკისრებენ ბრიუსელის რუპორის ფუნქციას, პეტრე-პავლესთან ანუ გერმანიის ელჩ პეტერ ფიშერთან და ევროკავშირის ელჩ პაველ ჰერჩინსკისთან მჭიდრო კომუნიკაციის მეშვეობით, რათა სწორად შეარჩიონ სამიზნე ჯგუფები.

ასეთი უსამართლო დამოკიდებულება და ჩემი ბედკრული სამშობლოს მიმართ ღიად გამოხატული მტრობა ის უმთავრესი ფაქტორია, რაც მავალდებულებს, ვიყო მოქმედი ხელისუფლების მხარდამჭერი, რომელმაც არაერთხელ გამიცრუა იმედები როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური ასპექტის გათვალისწინებით.

**დასაფასებელია, რომ მთავრობა უკვე დგამს ქმედით ნაბიჯებს სასურსათო პროდუქციაზე, მედიკამენტებსა და საწვავზე ფასების კორექტირებასთან დაკავშირებით, რამაც მცირედით მაინც უნდა შეუმსუბუქოს მდგომარეობა სოციალურ და სიღატაკის ზღვარზე მყოფ მოსახლეობას. სამაგიეროდ, ვერაფრით მოვუწონებ ხელისუფლებას საპენსიო პოლიტიკას, რომლის შემუშავების მეთოდოლოგია ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. თუკი სარწმუნოდ მივიღებთ ოფიციალურ მონაცემებს ქვეყნის ეკონომიკის ორნიშნა ციფრით განვითარებასთან დაკავშირებით, მაშინ თავმოყვარე სახელმწიფო მეტი ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდა ასაკოვან ადამიანებს. იმ ფონზე, როცა მაღალ ეშელონებში დასაქმებული საჭირო პენსიონერების ხელფასი საშუალოდ 1400 ლარით არის გაზრდილი, საპენსიო განაკვეთზე 20 და 45 ლარის მომატებას ამ ასაკობრივი ჯგუფების აბუჩად აგდების კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს და სხვა არაფერი, რამაც უკვე გამოიწვია დეპრესია საზოგადოების გარკვეულ ნაწილში.**

ათი წლის წინათ, 2016 წელს, პოეტმა კობა არაბულმა მიმართა ხელისუფლებას თხოვნით, შექმნილიყო მწიგნობართა, სწავლულთა და ფსიქოლოგთა ჯგუფი, რომელიც ერის სულიერი, ფსიქოლოგიური და ზნეობრივი დეპრესიის დაძლევას დაისახავდა მიზნად. დასანანია, რომ მმართველმა პარტიამ, ჯერჯერობით, ამ უაღრესად საჭირბოროტო პრობლემის გადასაჭრელად ვერ მოიცალა. არადა, საკითხი უაღრესად აქტუალურია და გადადებას არ ექვემდებარება.

**მართალია, საახალწლო პერიოდი მიილია, მაგრამ აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, ცეცხლოვანი რაშის წელიწადი 17 თებერვალს იწყება და, სამწუხაროდ, მზის დაბნელებას ემთხვევა. ღმერთმა მოგვცეს ძალა, გადავლახოთ ყველა დაბრკოლება და, როგორც მურმან ლებანიძის ლექსის ერთი გოლოდროინდელი ლექსის დასკვნით ნაწილშია ნათქვამი, უკეთესის იმედით და უარესის გაძლებით მივაღწიოთ დასახულ მიზანს.**



**თეიმურაზ ჯანელიძე,**

**წყალტუბო-ჩუნეში.**

# რამაზ საყვარელიძე: ემოციური სითბოს დეფიციტში აღზრდილი პიროვნება დაუნდობელი და აგრესიულია!



ახალგაზრდა მასწავლებლის გიგა ავალიანის სადისტურმა მკვლელობამ აჩვენა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა. ეს იყო ორგანიზებული დაჯგუფების მიერ ჩადენილი სისასტიკე, რომლებიც სადისტურად უსწორდებოდნენ ახალგაზრდებს, ძალადობას ტელეფონით იღებდნენ და აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ მსხვერპლს. ამ სადისტური მკვლელობის ისტორიაში არანაკლებ შემზარავია მკვლელობაში ბრალდებულების მშობლების განცხადებები, რომლებიც შვილების დანაშაულის გამო, დუმილს კი არ ირჩევენ, იმდენად უსუსური არგუმენტებით „ამართლებენ“ ამ სისასტიკეს, რომ ეს დამატებით, სხვა პრობლემასაც აჩენს. ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე ამბობს, რომ საზოგადოების სხვა ფაქტებიც აჩენს კითხვებს: რატომ არის გავრცელებული ნარკომანია? მიგრაცია? ფემიციდი? ამას ჩვენი საზოგადოების მასშტაბური მეცნიერული შესწავლა სჭირდება.

FOR.GE რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.

**– თუკი ადრე იყო ე.წ. საძმო, სხვადასხვა სახელებით, იგივე „მხედრიონი“ თუნდაც, დღეს არიან ე.წ. „ტიტუშკები“, ფაშისტური დაჯგუფებები, რომლებიც გამოირჩევიან სისასტიკით. რატომ მივედით ამ მდგომარეობამდე, რამ გაასასტიკა ახალგაზრდები, როგორ გაიზარდა ამდენი მკვლელი ამ პატარა ქვეყანაში?**

– სამწუხაროდ, ახალგაზრდებში სისასტიკე არაა მარტო ჩვენი პრობლემა. ახალგაზრდა ბუნებით რადიკალია და საკმარისია ამა თუ იმ ქვეყანაში შეიქმნას ხელშემწყობი პირობები, იგი ადვილად ხდება სასტიკი. თქვენს მიერ ნახსენები ფაშისტური დაჯგუფებებიც ბევრ ქვეყანაშია და, როგორც წესი, შედგება ახალგაზრდებისგან.

**– ბატონო რამაზ, როდესაც ამ ურთულეს პრობლემას ვაწყდებით, ანუ არასრულწლოვან ბავშვებში დანაშაულის გაახალგაზრდავებას უკავშირებენ იმას, რომ სკოლის არასაპატიო წესით გაცდენაზე, სკოლას არ აქვს გაწერილი ვალდებულებები, რის გამოც ბავშვებს კომუნიკაცია აქვთ ქუჩაში, სადაც ყალიბდებიან, როგორც მოძალადეები. სკოლაში, სადაც ყალიბდება, ფორმირდება ბავშვი, არ არის კონტროლი, მაგრამ მხოლოდ სკოლას უნდა დავაბრალოთ ეს პრობლემა? ოჯახი არ არის პასუხისმგებელი? ოჯახი ხომ არის მთავარი საყრდენი და აქ შემოდის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა – ემიგრანტი დედა. ბავშვები, რომლებიც დედის სითბოს გარეშე იზრდებიან და აქ უკვე სახელმწიფოს პასუხისმგებლობაც დგება...**

– ალბათ, სწორი ბრძანდებით. ბევრი ფაქტორი მოქმედებს, მათ შორის, სითბოს დეფიციტიც. ჰარი ჰარლოუს ექსპერიმენტები სწორედ დედის როლს სწავლობდა შვილის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ექსპერიმენტში პატარა მაიმუნებს ზრდიდნენ ოთხი ტიპის გარემოში. ერთ ვარიანტში მაიმუნი იზრდებოდა ჩვეულ გარემოში, ანუ დედასთან; მეორე ვარიანტი იყო ობლობა; მესამე და მეოთხე ვარიანტში პატარა მაიმუნის გალიაში იდგა დედის მაკეტი; მესამე ვარიანტში მაკეტში ჩამონტაჟებული იყო რძიანი ბოთლი საწოვარით („მკვებავი დედა“); მეოთხე ვარიანტში დედის მაკეტს შემოხვეული ჰქონდა რბილი ნაჭერი („თბილი დედა“).

ნორმალურ პირობებში აღზრდილი მაიმუნი ნორმალური და მშვიდი იყო. ობოლი მაიმუნი აგრესიულ და ნევროტულ არსებად გაიზარდა. აგრესიულ არსებად გაიზარდა „მკვებავ დედასთან“ აღზრდილი მაიმუნიც. ჰარმონიული ბუნების იყო მაიმუნი, რომელიც იზრდებოდა „თბილ დედასთან“ და მასთან ჩახუტების საშუალება ჰქონდა. ამ ფაქტებიდან დაასკვნეს, რომ დედის მთავარი ფუნქცია არის სითბოს მიცემა შვილისთვის და არა – კვება.

ადამიანებზე ჩატარებულმა გამოკვლევებმაც დაადგინა, რომ ემოციური სითბოს დეფიციტში აღზრდილი პიროვნება დაუნდობელი და აგრესიული არის სხვების მიმართ. ამ ფაქტებმა დიდი გამოხმაურება პოვა დასავლეთში, სადაც დედის მუშაობა დღისით და გასართობად წასვლა საღამოს, ბავშვს ტოვებს სითბოს გარეშე. ხშირად ამით ხსნიდნენ მოსწავლეთა გაუგებარ სისასტიკეს, ცეცხლსასროლი იარაღით თანატოლების თუ მასწავლებლების უმიზეზო დახოცვას, რაზეც ჩვენც ხშირად მოგვსვლია ინფორმაცია. რა თქმა უნდა, ემიგრანტი დედის შემთხვევაში, ემოციის დეფიციტის შანსი დიდია, თუმცა კომპენსაცია შეიძლება მოხდეს ბებია-ბაბუით. მეორე მხრივ, ცხადი ხდება, რომ დედის ემიგრაციის გარეშეც შეიძლება ბავშვს ჰქონდეს სითბოს ნაკლებობა, თუ დედას მისთვის არ სცალია.

# რატომ გაწირეს გიგა ავალიანი?!



**– ბავშვთა მოძალადეებად ჩამოყალიბება არ არის თანდაყოლილი თვისება, თავისთავად, ძირითადად, გარემო ფაქტორების და აღზრდის პროცესის შედეგია. თუმცა, რა უმთავრესი ფაქტორებია გამომწვევი, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვის მოძალადეებად ჩამოყალიბებას? რამ შეიძლება განაპირობოს არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენა?**

– გარდა სითბოს გარეშე ბავშვის აღზრდისა, აგრესიულობა შეიძლება გაზარდოს აგრესიის მაგალითმა. მაგალითის ძალა ოდითგან ცნობილია, მაგრამ ალბერტ ბანდურამ ექსპერიმენტულად დაადგინა, რომ თუ ბავშვმა დაინახა უფროსის აგრესია ვინმეს მიმართ, თავადაც გამოავლენს მის მიმართ აგრესიას. იგივე შედეგი მოაქვს ვერბალურ აგრესიასაც. სიტყვიერი შეურაცხყოფა ფიზიკურში ადვილად გადადის. ესე იგი, შეურაცხყოფის კულტივირება, რაც ხდება ბულინგის დროს, ზრდის აგრესიის მუხტს.

თავად ბულინგიც ხომ სასკოლო ცხოვრებაში გაჩენილი ფენომენია, რომელიც ახალგაზრდებში ეგოცენტრიზმისა და ემპათიის ნაკლებობით არის განპირობებული. დღეს ბულინგი დამკვიდრდა დიდების ცხოვრებაში და არა მარტო საქართველოში.

**– როგორ შეიძლება არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენცია, რა არის საჭირო მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის კუთხით და აქ რამდენად აუცილებელია, იგივე განათლების სამინისტროს მიერ სპეციალური პროგრამების შეტანა სკოლებში? სკოლებში რომ ხელმისაწვდომი იყოს ფსიქოლოგის სერვისი, ეს ხელს შეუწყობდა ბევრი პრობლემის ადგილზე გადაჭრას...**

– გეთანხმებით, სკოლის ფსიქოლოგს დიდი ფუნქცია აქვს. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, განათლების სისტემაში მომუშავე ფსიქოლოგების რიცხვი ჩამორჩება მხოლოდ კლინიკასა და კონსულტაციებში დაკავებული ფსიქოლოგების რაოდენობას. საქართველოშიც დიდი ხნის წინ გაჩნდნენ ფსიქოლოგები სკოლაში, ოღონდ ფსიქოლოგების იმ რაოდენობის მომზადება, რაც განათლების მთელი სისტემისთვისაა საჭირო, ძალიან ძნელია. შეიძლება, ფსიქოლოგის ფუნქცია ნაწილობრივ შეასრულოს ფსიქოლოგიური ცოდნის პოპულარიზიციამ, საზოგადოების ფსიქოლოგიური კულტურის ამაღლებამ, რაც მასწავლებლების გარდა, მშობლებზეც იმოქმედებს და ახალგაზრდებზეც.



**– არ ვიცი, რა ხდება სხვა ქვეყნებში, როგორია მათი კრიმინალური ქრონიკა, მაგრამ ახალგაზრდა მასწავლებლის გიგა ავალიანის სადისტურმა მკვლელობამ აჩვენა, რომ ეს არ იყო შემთხვევითი მკვლელობა, ეს იყო რაღაცა დაჯგუფება, რომელიც სადისტურად უსწორდებოდა არასრულწლოვნებს, ამ ძალადობას ტელეფონით იღებდნენ და აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ მსხვერპლს. მკვლელობაში ბრალდებულების მშობლები თავიანთ შვილებს ამართლებენ, ეს უკვე რას ნიშნავს, რა მენტალიტეტია?**

**– ასეთი შემზარავი ფაქტები და მასზე სხვადასხვა ადამიანის განსხვავებული რეაქციები, რაც ვერ აგვიხსნია, ახსნა რომ გვიჭირს, ცხადია, რომ ჩვენ ცუდად ვიცით საკუთარი საზოგადოება. საზოგადოების სხვა ფაქტებიც აჩენს კითხვებს: რატომ არის გავრცელებული ნარკომანია? მიგრაცია? ფემიციდი? და ა.შ. ყველა ამ კითხვაზე პასუხს სჭირდება ჩვენი საზოგადოების მასშტაბური მეცნიერული შესწავლა. ამგვარი კვლევის სამეცნიერო პოტენციალი ჯერჯეროვით გვაქვს, მაგრამ მათ არავინ უკვეთავს.**

**– ე.წ. ფაშისტური ორგანიზაციის წევრები დააკავეს საქართველოში, ნაწილი არასრულწლოვანია. ყველა შემთხვევა არის იდენტური, მაგრამ რატომ იღებენ ამ ძალადობას და მერე რატომ ავრცელებენ? ან შეიძლება ასეც დავსვათ კითხვა - ვისთვის იღებენ და ავრცელებენ? ბატონო რამაზ, რაც მნიშვნელოვანია, ამაში ჩართულები არიან გოგოებიც და უყურებენ ამ ძალადობას. საიდან მოდის ეს ე.წ. ცივსისხლიანობა?**

– ახალგაზრდას არ ჰყოფნის გამოცდილება საიმისოდ, რომ მიხვდეს, ემპათია მისი განვითარებისთვის არის აუცილებელი, გარემო უნდა მოუწოდებდეს ამისკენ. ემპათიურობის კულტივირების გარეშე, ზრდასრულებიც ვერ უძლებენ მოძალადეობის ცდუნებას, რეალური ფაშიზმიც ხომ, გარკვეულმა პირობებმა შექმნა. ალფრედ ადლერს მიაჩნდა, რომ ძალადობისკენ ისწრაფვის ის, ვისაც არასრულფასოვნების კომპლექსი აქვს და ამ კომპლექსის კომპენსირება უნდა სხვაზე ძალადობით. საკუთარი თავით კმაყოფილ ადამიანს, ფსიქოლოგიურად არ სჭირდება სხვისი დაჩაგვრა, ძლიერი მშვიდობიანია, მაგრამ ვინმემ უნდა დაგვანახოს ეს ჭეშმარიტება.

ესაუბრა
**თამთა ქარჩავა**

საქართველოს რესპუბლიკა



# პროკურატურა ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზების ფაქტზე გურამ კაკულიას, დავით კაკულიას და ბესარიონ ჟვანიას ბრალდებას წარუდგენს!




საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზების სისხლის სამართლის საქმე გახსნილია.

# ეს სადისტური მკვლელობა მთელი საქართველოს სირცხვილია!



უწყების ცნობით, პროკურატურამ, **ნიკოლოზ კვარაცხელიას** შეკვეთით, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზების ფაქტზე **გურამ კაკულიას, დავით კაკულიას** და **ბესარიონ ჟვანიას მიმართ** ბრალდების შესახებ დადგენილება გამოიტანა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ ძმებმა გურამ და დავით კაკულიებმა, ე.წ. კანონიერ ქურდზე გია კვარაცხელიაზე შურისძიების და კრიმინალურ სამყაროში თავიანთი ავტორიტეტის გამყარების მიზნით, ამ უკანასკნელის შვილის ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით მკვლელობა განიზრახეს. ძმები კაკულიების მამა, ე.წ. კანონიერი ქურდი დავით კაკულია 2001 წლის 25 აგვისტოს ქ.მოსკოვში მოკლეს, რაზეც კრიმინალურ სამყაროში და ასევე საზოგადოებაში ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ დავით კაკულიას მკვლელობის დამკვეთი თითქოსდა გია კვარაცხელია იყო.

გურამ და დავით კაკულიებმა ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით მკვლელობის განზრახვა თავიანთ მეგობარს ბესარიონ ჟვანიას გაანდეს და შეთანხმდნენ, მოეხდინათ ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობის ორგანიზება. ბესარიონ ჟვანიამ დაიწყო დანაშაულის ამსრულებლის მოძიება, რა მიზნითაც იგი თავის ნაცნობებს, ალეკო ჭელიძეს და გიორგი კავილაძეს დაუკავშირდა, შესთავაზა მათ, ძმები კაკულიების შეკვეთით, მოეხდინათ ნიკოლოზ კვარაცხელიას ჯგუფური მკვლელობა, რაზედაც ისინი დათანხმდნენ. ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე, ბესარიონ ჟვანიას ორგანიზებით, 2021 წლის ივლისსა და აგვისტოში სომხეთის რესპუბლიკაში რამდენჯერმე გაემგზავრნენ ამავე ქვეყანაში მყოფ მკვლელობის შემკვეთებთან, გურამ და დავით კაკულიებთან შესახვედრად, სადაც ისინი მკვლელობის ორგანიზებისათვის აუცილებელ მითითებებს გასცემდნენ.

განზრახ მკვლელობის ორგანიზების და ხელმძღვანელობის გამარტივების მიზნით, დავით და გურამ კაკულიებმა 2021 წლის სექტემბრის დასაწყისში უკანონოდ გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, რაც ცნობილი იყო ბესარიონ ჟვანიასთვის, რომელმაც ისინი ილია ჭავჭავაძის გამზ. №78-ში მდებარე მისივე ოჯახის საკუთრებაში არსებულ სახლში დააბინავა. აღნიშნულ საცხოვრებელ სახლში სისტემატურად მიდიოდნენ ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე. მათ ძმებმა კაკულიებმა დანაშაულებრივი მოქმედების დროს მათთან კომუნიკაციისთვის განკუთვნილი „რედმის“ მოდელის მობილური ტელეფონი გადასცეს.

ალეკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ, თავის მხრივ, მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს დანაშაულის ჩასადენად განკუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღი და ვაზნები. ასევე, დაადგინეს ნიკოლოზ კვარაცხელიას საცხოვრებელი სახლის მისამართი და ყოველდღიური თვალთვალით სწავლობდნენ მისი გადაადგილების დეტალებს.

2021 წლის 14 სექტემბერს გიორგი კავილაძემ და ალეკო ჭელიძემ იქირავეს „ჰიუნდაი ელანტრას“ მარკის ავტომობილი და დანაშაულის ჩასადენად მოემზადნენ.

2021 წლის 15 სექტემბერს, დაახლოებით 16 საათსა და 20 წუთზე გიორგი კავილაძე და ალეკო ჭელიძე დაქირავებული „ჰიუნდაი ელანტრას“ მარკის ავტომობილით მივიდნენ თბილისში, ანჯაფარიძის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე და პირად საქმეზე მყოფ ნიკოლოზ კვარაცხელიას ჩაუსაფრდნენ. შემთხვევის ადგილზე ალეკო ჭელიძემ ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე ესროლა ნიკოლოზ კვარაცხელიას. ნიკოლოზ კვარაცხელია თავდამსხმელისგან თავის დაღწევის მიზნით გაქცევას შეეცადა, თუმცა ალეკო ჭელიძე დაედევნა მას და კვლავ განაგრძო მისი მიმართულებით სროლა, რითიც სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებები მიაყენა. სროლის დასრულების შემდეგ ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ ამ უკანასკნელის მართვის ქვეშ მყოფი ავტომობილით. შემთხვევის ადგილზე შეკრებილმა პირებმა ნიკოლოზ კვარაცხელია საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ მიღებული დაზიანებების შედეგად იგი იმავე დღეს გარდაიცვალა.

დანაშაულებრივი ქმედების შესრულებისთანავე ალეკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ მკვლელობის შემკვეთებს, გურამ და დავით კაკულიებს ტელეფონით აცნობეს მომხდარის შესახებ, რის შემდეგაც ძმებმა რამდენიმე წუთში დატოვეს თავიანთი დროებითი საცხოვრებელი, ბესარიონ ჟვანიას ოჯახის საკუთრებაში არსებული სახლი, ასევე, გიორგი კავილაძე ტაქსის მძღოლის მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ბესარიონ ჟვანიას და საუბრის დროს მიანიშნა ნიკოლოზ კვარაცხელიას მკვლელობის შესახებ.

საქართველოს პროკურატურა ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზების ფაქტზე გურამ კაკულიას, დავით კაკულიას და ბესარიონ ჟვანიას ბრალდებას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით წარუდგენს (2021 წელს მოქმედი რედაქციით), რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ალეკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე ნიკოლოზ კვარაცხელიას ჯგუფურად განზრახ მკვლელობის, ჯგუფურად ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგოდ შეძენა-შენახვის და ტარების ფაქტებზე მსჯავრდებულები არიან და სასჯელის სახედ და ზომად შეფარდებული აქვთ 17 და 16 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნიკოლოზ კვარაცხელიას შეკვეთით, ჯგუფურად განზრახ მკვლელობის ორგანიზების ფაქტზე ბრალდებულები გურამ და დავით კაკულიები მსჯავრდებულები არიან და პენიტენციურ დაწესებულებაში იმყოფებიან სხვა სისხლის სამართლის საქმეზე. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ძმებმა კაკულიებმა 2022 წელს არაყიშვილის ქუჩაზე, განზრახ მოკვლის მიზნით ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გასროლის შედეგად ერთი პირი დაჭრეს და აღნიშნულ ფაქტზე 9-9 წლით თავისუფლების აღკვეთა აქვთ შეფარდებული.

პროკურატურა ბრალდებულ ბესარიონ ჟვანიასთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების თაობაზე სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. ბესარიონ ჟვანიაზე კანონით დადგენილი წესით გამოცხადდება ძებნა.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირების დადგენის მიზნით“.



ძმები – გურამ და დავით კაკულიები



ბესარიონ ჟვანია

ჟურნალისტის თვალსაწიერი

# შეშლილ მსოფლიოში ბირთვულ შეიარაღებაზე კონტროლი არ არსებობს!




**5 თებერვალს ამერიკასა და რუსეთს შორის ბირთვულ იარაღზე კონტროლის ბოლო ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, რამაც მსოფლიოში სრულიად ახალი გეოპოლიტიკური ვითარება შექმნა. ბირთვული იარაღის შემცირების ამ ხელშეკრულებას, რომელსაც 2010 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა მოაწერეს ხელი, New-START ერქვა.**

დოკუმენტი თითოეული მხარის მიერ ბირთვული ქობინების შემცირებასა და ერთჯერად ხუთწლიან გახანგრძლივებას ითვალისწინებდა, რაზეც ვლადიმირ პუტინი და ამერიკის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი 2021 წელს შეთანხმდნენ. ახლა კი, არც ერთმა მხარემ აღარ მოინდომა ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. დოკუმენტის ვადის ამოწურვით, მოსკოვი და ვაშინგტონი, 1970-იანი წლების შემდეგ, პირველად დარჩნენ შეიარაღებაზე კონტროლის შესახებ რაიმე ფორმალური შეთანხმების გარეშე.

პირველი ასეთი ხელშეკრულება, სახელწოდებით, **SALT-One**, ანუ, სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შეთანხმება, მათ შორის, 1972 წელს დაიდო. 1979 წელს **SALT-Two**, მეორე ასეთი შეთანხმება გაფორმდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ორმა ქვეყანამ, 1991 წელს, ახალი ხელშეკრულება გააფორმა, სახელწოდებით **START-One** და შემდეგ, **START-Two**. ბოლო დროს კი, ახლახანს გაუქმებული **New-START**-ი. ხელშეკრულება, ცხადია, იდეალური არ იყო, მაგრამ ყველა ჩამოთვლილმა დოკუმენტმა მაინც დიდი როლი შეასრულა მსოფლიოს განიარაღების საქმეში.

მაგალითად, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ამერიკასა და საბჭოთა კავშირს, ერთად, 70 ათასზე მეტი ქობინი ჰქონდა. ახლა კი, თითოეულს, ხუთ-ხუთი ათასიღა დარჩა. პუტინმა, გასულ წელს, წინადადება წამოაყენა, ხელშეკრულების ერთი წლით გახანგრძლივების შესახებ, რაზეც, ტრამპმა უარი განაცხადა. მისი აზრით, ხელშეკრულება მოძველდა, რადგან ის არ ითვალისწინებდა ახალ რეალობას. ტრამპს ჩინეთის ბირთვული იარაღის საკითხი აწუხებს. ამიტომ ის ითხოვს, რომ ბირთვულ იარაღზე კონტროლის შესახებ ახალ შეთანხმებაში ჩინეთიც მონაწილეობდეს.

**ჩინეთის ბირთვული არსენალი მნიშვნელოვნად ჩამორჩება რუსეთის ფედერაციისა და შეერთებული შტატების არსენალს. ჩინეთს, დაახლოებით, 500-ქობინი აქვს. ამიტომ ჩინეთის ხელისუფლება ვერ ხედავს აზრს, რაიმე შეზღუდოს, სანამ ორივე მხარის შესაძლებლობები, როგორღაც, არ გათანაბრდება. მეორე მხრივ, რუსეთი მომავალ ხელშეკრულებაში საფრანგეთისა და ბრიტანეთის ჩართვას ითხოვს.**

მსოფლიოს ბევრი პოლიტიკოსი და ექსპერტი შიშობს, რომ ასეთ უკონტროლო ხანაში, ქვეყნებმა შესაძლოა, გამალებული შეიარაღება დაიწყოს, მით უმეტეს, რომ ასეთი ტენდეცია უკვე არსებობს. მიზეზი ცნობილია: უკრაინის ომი და ტრამპისეული დომინანტობის პოლიტიკა. ბევრი ქვეყანა ხმამაღლა საუბრობს ბირთვული იარაღის განთავსებაზე, მაგალითად, ირანი, საუდის არაბეთი, სამხრეთ კორეა, გერმანია და სხვა. მეორე საგანგაშო საკითხია ის, რომ ხსენებული ხელშეკრულების ვადის ამოწურვით, ასევე, რუსეთისა და ამერიკის მიერ ერთიმეორის ბირთვული იარაღის ინსპექტირება წყდება.

**უკრაინის ომის დაწყების შემდეგ, ისედაც, არ ხდებოდა ბირთვული იარაღის ინსპექტირება. ვაშინგტონის მიერ დაწესებული შეზღუდვების მოტივით, ჯერ მოსკოვმა გამოაცხადა საინსპექციო მისიების შეჩერება: შეერთებული შტატები რუსული თვითმფრინავებისთვის საჰაერო სივრცის დახურვაში დაადანაშაულა. 2023 წლის თებერვალში რუსეთმა დროებით შეაჩერა New-START-ხელშეკრულება, თუმცა, მხარეებს ერთმანეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ.**

ასე თუ ისე, მაინც კონტროლდებოდა ბირთვული იარაღის გამოყენების რისკი. ახლა, უკვე, ეს კავშირიც აღარ მუშაობს. ამიტომ შეშფოთებულმა ამერიკელმა გენერლებმა აბუდაბიში უკრაინის შესახებ მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის დროს, თავიანთ რუს კოლეგებს კომუნიკაციის აღდგენა შესთავაზეს, რაზეც, დადებითი პასუხი მიიღეს. ექსპერტების აზრით, **New-START**-ის გაუქმება არავისთვის და, მითუმეტეს, დასავლეთისთვის კარგი არ არის. როგორც ისტორია ცხადყოფს, ამ საკითხზე ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკება რთული და ხანგრძლივი პროცესია. მესამე მხარის დამატება კი უფრო გაართულებს პროცესს.

**არ დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ბირთვული იარაღის მფლობელი ქვეყნები, რომელთაც არც ერთ ხელშეკრულებაზე არ მოუწერიათ ხელი, მაგალითად, ინდოეთი, პაკისტანი და ისრაელი. ამიტომ ამერიკის პრეზიდენტი რისკის წინაშე დგას: რა მოხდება თუ მისი ახალი წინადადება ჩაიშლება?**

**ნათქვამია, ნგრევა ადვილია, შენება კი – ძალიან ძნელი...**




# შეაყარე კედელს ცერცვი!..

## ვენესუელა: რა დემოკრატია, რის დემოკრატია!

**ერთ თვეზე მეტი გავიდა, რაც ამერიკის სპეცდანიშნულების ძალებმა, საგანგებო ოპერაციის შედეგად, ვენესუელის ყოფილი ლიდერი ნიკოლას მადურო დააკავაეს. რა შეიცვალა იმის მერე ვენესუელაში და რა მომავალი აქვს ქვეყანას? ეს შეკითხვა მთელს მსოფლიოს აკერია პირზე. დონალდ ტრამპის განცხადებით, ვენესუელის მართვას შეერთებული შტატების მთავრობა კისრულობს მანამ, სანამ ის დემოკრატიის გზაზე არ დადგება, მაგრამ გარდაქმნის კონკრეტული გეგმა ტრამპს არ წარმოუდგენია.**

მას, უფრო, ვენესუელის ნავთობზე უჭირავს თვალი, ვიდრე ქვეყნის დემოკრატიზაციაზე. ვენესუელის ახალი პრეზიდენტი დელსი როდრიგესი ყველაფერს აკეთებს, რომ ტრამპი, ამ მხრივ, მშვიდად იყოს. ტრამპის მოთხოვნით, ვენესუელის პარლამენტმა, ენერგოსექტორის შესახებ, კანონების მთელი პაკეტი მიიღო, რომლითაც ქვეყნის ენერგოსექტორის რეფორმა გატარდება, კერძოდ, პრივატიზაცია მოხდება.

შეგახსენებთ, პრეზიდენტმა უგო ჩავესმა, თავის დროზე, ვენესუელადან ამერიკული ნავთობკომპანიები გააძევა და ქვეყნის ენერგოსექტორის ნაციონალიზაცია მოახდინა. ახლა ტრამპი ვენესუელის ახალი ხელმძღვანელობისგან ითხოვს, რომ ამერიკულ ნავთობკომპანიებს ვენესუელაში მოქმედების ნება დართოს. ახალი კანონმდებლობა, ასევე, აუქმებს აქამდე არსებულ მოთხოვნას, რომ ინვესტორებსა და ვენესუელის მთავრობას შორის, ყველა დავა მხოლოდ ვენესუელის სასამართლოებში უნდა წყდებოდეს. ახალი კანონები უცხოურ კომპანიებს უფლებას აძლევს, ქვეყნის ხელისუფლებას საზღვარგარეთ უჩივლოს.

**დონალდ ტრამპმა თეთრ სახლში ამერიკულ ნავთობკომპანიების მენეჯერებთან შეხვედრა გამართა. პრეზიდენტმა მათ ვენესუელის ენერგოსექტორში ინვესტიციის გაკეთებისკენ მოუწოდა, მაგრამ ტრამპის სავალალოდ, თითქმის ყველამ უარი განაცხადა. ვენესუელას მსოფლიოში ნავთობის უდიდესი დადასტურებული მარაგი აქვს, მაგრამ ნავთობსაბადოები ძნელად მისადგომ ადგილებშია, რაც ნავთობის მოპოვებას აძნელებს.**

ასევე, ვენესუელის ნავთობი, ხარისხით დიდად ჩამორჩება სხვა ქვეყნების ნავთობს. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ვენესუელაში, ნავთობმოპოვება უფრო ძვირია, ვიდრე, სხვა ქვეყნებში. ყველაფერთან ერთად, ჩავესისა და მადუროს მმართველობის დროს, ნავთობსაბადოების ინფრასტრუქტურა დაძველდა და მწყობრიდან გამოვიდა. განახლებას კი, დიდი დრო და ინვესტიცია სჭირდება. ამის გარდა, ამერიკულ კომპანიებს, იმიტომაც არ სურთ ინვესტიციის გაკეთება, რომ ვენესუელის მომავალი, ჯერ კიდევ, გაურკვეველია. ტრამპმის გადაწყვეტილებით, ვენესუელის ნავთობს ვაშინგტონი გაყიდის და მოგებულ თანხას ქვეყანას გადასცემს, თუმცა, მიღებულ თანხებს ვენესუელის მთავრობა ვერ გააკონტროლებს. თანხა კატარში გახსნილ სამეურვეო ანგარიშზე ჩაირიცხება, რათა მთავრობამ ხელფასები და პენსიები დაარიგოს. ამ სქემით, ვენესუელას, უკვე, 500 მილიონამდე დოლარი გადაეცა. რაც შეეხება უსაფრთხოების საკითხებს, აქ, დიდი ნაბიჯები გადაიდგა.

პირველ რიგში, ვენესუელას ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის დირექტორი ეწვია, რომელმაც ქვეყნის ახალ მთავრობასთან შეხვედრები გამართა. ასევე, შვიდწლიანი პაუზის შემდეგ, ვენესუელაში ისევ გაიხსნა ამერიკის საელჩო. ტრამპმა ელჩად გამოცდილი დიპლომატი, ქალბატონი **ლაურა დოგუ დანიშნა,** რომელმაც უკვე გამართა შეხვედრები ვენესუელის მთავრობასთან. რაც შეეხება ქვეყნის დემოკრატიზაციას, აქ საკითხი მოიკოჭლებს, თუმცა, პოზიტიური ძვრებიცაა. ვენესუელის ახალმა პრეზიდენტმა, ქალბატონმა როდრიგესმა პოლიტპატიმრების საყოველთაო ამნისტია გამოაცხადა, რაც ეტაპობრივად განხორციელდება.

დანარჩენ საკითხებში, ვენესუელაში ისევ ტირანიაა. მადუროს გარდა, თითქმის ყველამ შეინარჩუნა თავისი ადგილი. უფრო სწორად, ვენესუელას ახლა მადუროსთან დაახლოებული კლანური რეჟიმი მართავს, რომლის წევრები არიან ქვეყნის ახალი მეთაური, დელსი როდრიგესი, ვენესუელის პარლამენტის თავმჯდომარე და დელსის ძმა ხორხე-როდრიგესი, ვენესუელის შინაგან საქმეთა მინისტრი, დიოსდადო კაბელიო და თავდაცვის მინისტრი ვლადიმირ პადრინო ლოპესი.

ოთხივე, წლების განმავლობაში, მადუროს რეჟიმის საყრდენი იყო და იმავე დანაშაულებში არიან ექვმიტანილები, რაც მადუროს ედება ბრალად. ამ ოთხიდან, განსაკუთრებული სისასტიკით, შინაგან საქმეთა მინისტრი დიოსდადო კაბელიო გამოირჩევა. ის ეჭვმიტანილია პოლიტიკურ და კრიმინალურ მკვლელობებში, წამებაში, რეკეტში და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. კაბელიო ვენესუელის უშიშროების ყველა სამსახურს აკონტროლებს. ამიტომაა, რომ ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, სკეპტიკურად უყურებენ ვენესუელის დემოკრატიზაციას, მაგრამ, როგორც ჩანს, ტრამპს ეს არ აწუხებს, რაც ცხადად გამოჩნდა ტრამპის ოპოზიციის ლიდერ მარია მაჩადოსთან შეხვედრის შემდეგ.

**ამერიკის პრეზიდენტმა თბილად კი მიიღო პოლიტიკოსი, მაგრამ, მოგვიანებით, სხვა ამბავმა გაჟონა. კერძოდ, ტრამპი ძალიან გაღიზიანებული და უკმაყოფილო იყო, რადგან ქალბატონი მაჩადო დემოკრატიზაციას და ახალი არჩევნების ჩატარებას ითხოვდა. შეაყარე კედელს ცერცვი!**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

**POSTV**




# პოლიტიკური რეპრესიის ინსტრუმენტი დისიდენტების წინააღმდეგ

**XX საუკუნის მეორე ნახევარში, ცივი ომის პერიოდში საბჭოთა კავშირში ფსიქიატრია არაერთ შემთხვევაში გამოიყენებოდა, როგორც პოლიტიკური რეპრესიის ინსტრუმენტი. ეს აკადემიური კვლევებითა და არქივების გახსნის შემდეგ გამოქვეყნებული დოკუმენტებითაა დადასტურებული.**

**1960–1980-იან წლებში საბჭოთა უსაფრთხოების სისტემამ დანერგა პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც, რეჟიმის კრიტიკოსები ხშირად პოლიტიკურ ბრალდებებზე კი არა, ფსიქიატრიულ დიაგნოზებზე დაყრდნობით იზოლირდებოდნენ.**

ადამიანს შეიძლებოდა ფსიქიკური „დაავადება“ აშკარა სიმპტომების გარეშე ჰქონოდა, უფრო სწორად, „სიმპტომებად“ ითვლებოდა სახელმწიფოს კრიტიკა, რეფორმების მოთხოვნა ან „იდეოლოგიური გადახრა“.

საერთაშორისო აკადემიური კვლევები მიუთითებს, რომ საბჭოთა კავშირში პოლიტიკური პატიმრების, დაახლოებით, მესამედი ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იყო მოთავსებული. ასეთი პრაქტიკა იმდენად მასშტაბური გახდა, რომ 1970-1980-იან წლებში მსოფლიო ფსიქიატრიულ საზოგადოებაში სერიოზული კრიზისი გამოიწვია.

**დასავლელი ფსიქიატრები და ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები ამტკიცებდნენ, რომ ფსიქიატრიის გამოყენება პოლიტიკური მიზნებისთვის არღვევდა როგორც სამედიცინო ეთიკას, ისე – ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს. სწორედ ამ ფონზე, მსოფლიო ფსიქიატრიულმა ასოციაციამ 1977 წელს მიიღო დოკუმენტი, რომელიც პირდაპირ კრძალავდა ფსიქიატრიის გამოყენებას იქ, სადაც ფსიქიკური დაავადება არ არის დადასტურებული. ეს დოკუმენტი, პრაქტიკულად, რეაქცია იყო საბჭოთა პრაქტიკაზე.**

საბოლოოდ, საერთაშორისო ზეწოლის ფონზე, საბჭოთა ფსიქიატრიული ასოციაცია 1983 წელს მსოფლიო ფსიქიატრიული ასოციაციიდან გავიდა (ფაქტობრივად, გარიცხვას ასცდა) და დაბრუნდა მხოლოდ 1989 წელს, როდესაც უკვე ნაწილობრივ აღიარებული იყო წარსული დარღვევები.

**დისიდენტების ჩვენებები და შემდგომში გახსნილი არქივები აჩვენებს, რომ ასეთი პაციენტები ხშირად ხვდებოდნენ დახურულ ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში („სპეცპსიხუშკებში“), სადაც მათ აძლევდნენ მძიმე პრეპარატებს, იზოლაციაში ამყოფებდნენ და ზოგჯერ წლების განმავლობაში აკავებდნენ სასამართლოს გარეშე. მიზანი არ იყო მკურნალობა – არამედ პოლიტიკური ნეიტრალიზაცია.**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ თემამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სამედიცინო ეთიკის განვითარებაზე. ფსიქიატრიის ისტორია გახდა მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერება სახელმწიფო ძალადობის ინსტრუმენტად გადაიქცეს.

# რა ანგრევს პიროვნებას და... საზოგადოებას?!

## „გოიმი“ როგორც ლინგვისტური და სოციალური პრობლემა



**გოლო პერიოდში საზოგადოებრივი ყურადღება კვლავ მიპყრობილია ეპშტეინის კუნძულთან დაკავშირებული სკანდალისკენ. მსოფლიო მედია აქტიურად განიხილავს ჯეფრი ეპშტეინის საქმეს და მასთან დაკავშირებულ მძიმე ბრალდებებს. თუმცა ამ წერილის მიზანი არ არის სისხლის სამართლებრივი ეპიზოდების შეფასება. ყურადღება მინდა გავამახვილო ერთ კონკრეტულ ლინგვისტურ საკითხზე, სიტყვა „გოიმზე“, რომელიც ამ სკანდალის კონტექსტში ყურადღებას იმსახურებს.**

**ეპშტეინის** სახელთან დაკავშირებულ ნაწილობრივ გასაჯაროებულ მიმოწერებში ვხვდებით ციტირებას, სადაც ტერმინი გამოყენებულია უკიდურესად დამამცირებელი ფორმით. ერთ-ერთ მაგალითში ვკითხულობთ:

> **„I love trafficking children, manipulating markets, and don't believe goyim are human. Also this is all because I am Jewish“**
>
> **„მე მიყვარს ბავშვებით ვაჭრობა, ბაზრების მანიპულირება და არ მჯერა, რომ გოიმები ადამიანები არიან. ასევე, ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ მე ებრაელი ვარ“.**

აქ მთავარი არა უბრალოდ სიტყვის გამოყენებაა, არამედ მისი შინაარსობრივი დატვირთვა. ეპშტეინის ტექსტში **„გოიმი“** ნიშნავს არა უბრალოდ სხვას, არამედ იმას, ვინც ავტორის თვალში ადამიანადაც კი არ ითვლება. ეს არის დეჰუმანიზაციის უკიდურესი ფორმა. იქმნება ზღვარი, სადაც ერთი ჯგუფი საკუთარ თავს აყენებს მორალურ და სოციალურ იერარქიაში ზემოთ, ხოლო სხვას აკლებს ადამიანურ სტატუსს. სწორედ ასეთ ენაში ვლინდება ცინიკური ელიტიზმი.

თუმცა მნიშვნელოვანია განვასხვავოთ კონტექსტი სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობისაგან. ენციკლოპედია ბრიტანიკა განმარტავს:

> **„The term goy plural goyim refers to a non Jewish person it is derived from the Hebrew word goy which means nation. In postbiblical Hebrew goy transitioned from describing non Hebrew nations to individuals. While goy can sometimes be used disparagingly it generally means gentile.“**

„ტერმინი **„გოი“** მრავლობითი **„გოიმი“** არაებრაელ ადამიანს აღნიშნავს. ის მომდინარეობს ებრაული სიტყვიდან **„გოი“** რაც ერს ნიშნავს. პოსტბიბლიურ ებრაულში **„გოი“** ერის აღმნიშვნელიდან ინდივიდების აღმნიშვნელად გარდაიქმნა მიუხედავად იმისა, რომ **„გოი“** ზოგჯერ შეიძლება დამამცირებლადაც იქნას გამოყენებული... ის, ზოგადად, წარმართს ნიშნავს.“

როგორც ჩანს, სიტყვის პირველადი მნიშვნელობა ნეიტრალურია და იგი აღნიშნავს არაებრაელ ადამიანს. დეჰუმანიზაცია არ გამომდინარეობს ლექსიკური განმარტებიდან. იგი წარმოიშობა კონკრეტული გამოყენებისაგან და ავტორის მსოფლმხედველობისგან.

**ყველაზე მნიშვნელოვანი განსხვავება სწორედ აქ იწყება. ეპშტეინის ტექსტში „გოიმი“ მიმართულია გარეთ და ემსახურება ადამიანურობის უარყოფას. ქართულ სოციალურ სივრცეში კი სიტყვამ სრულიად განსხვავებული ტრაექტორია გაიარა. აქ „გოიმი“ არ აღნიშნავს ეთნორელიგიურ განსხვავებას და მით უმეტეს არაქართველს. იგი უმეტესად გამოიყენება საკუთარი თანამემამულის მიმართ.**

ქართულ რეალობაში მოხდა სემანტიკური ამოტრიალება. სიტყვამ დაკარგა პირვანდელი რელიგიური კონტექსტი და გადაიქცა სოციალურ იარლიყად. იგი ხშირად გულისხმობს არაელიტურს, უგემოვნოს, პროვინციელს, არამოდურს ან არაპრესტიჟულ წრეში მყოფს.

**თუ ეპშტეინის ტექსტში პრობლემა არის ადამიანის უარყოფა, როგორც ადამიანის, ქართულ კონტექსტში პრობლემა არის საკუთარი საზოგადოების შიგნით დირებულებითი იერარქიის ხელოვნურად შექმნა. სწორედ აქ არის მთავარი საფრთხე. ქართული გოიმის ფენომენი აჩენს ორ დამახინჯებულ სოციალურ ტიპს. ერთი არის სნობი, რომელსაც მუდმივად სჭირდება სხვების დამცირება იმის დასამტკიცებლად, რომ ის ელიტაა. მეორე არის გოიმად მონათლული ადამიანი, რომელიც ან იწყებს საკუთარი გარემოს სიძულვილს და ამ სიძულვილით ცდილობს მაღლა ასვლას, ან იწყებს უსასრულო მიბაძვას, რომ მიღებული იყოს ელიტარულ „ტუსოვკაში“. ორივე გზა ანგრევს პიროვნებას და საბოლოოდ ანგრევს საზოგადოებასაც, რადგან სოლიდარობას ცვლის შერცხვენის და დამცირების შიში.**

ამგვარად, ეპშტეინის შემთხვევაში სიტყვა არის დეჰუმანიზაციის ინსტრუმენტი. ქართულ შემთხვევაში იგი არის შინაგანი სოციალური დაყოფისა და სნობიზმის ინსტრუმენტი. ფორმები განსხვავებულია, მაგრამ შედეგი მსგავსია. ადამიანი დაყვანილია სტატუსამდე და ფუნქციამდე.

ამიტომ საკითხი მხოლოდ ლინგვისტური არ არის. იგი ეთიკური და კულტურულია.

**თუ სიტყვა ჩვენს ყოველდღიურ პრაქტიკაში მხოლოდ დამამცირებელი მნიშვნელობით ფუნქციონირებს, აუცილებელია მისი გააზრება და საჭიროების შემთხვევაში მისი ამოღება საჯარო ლექსიკონიდან.**

**ენის კულტურა განსაზღვრავს საზოგადოებრივ კულტურას. სიტყვა ქმნის საზღვრებს ან ქმნის ხიდებს. არჩევანი იმაზე, რომელ ფუნქციას შეასრულებს „გოიმი“ ქართულ სინამდვილეში, თავად საზოგადოების ხელშია.**



**ლევან მეტონიძე,**
სოციოლოგი.



# გამტაცებლებმა გოგონა ცოცხლად დამარხეს,

## რომელიც 83 საათის შემდეგ იპოვეს —FBI-ის წარმატებული საქმე, რომელმაც მსოფლიო აალაპარაკა

**1968 წლის დეკემბერში აშშ-ში, ფლორიდასა და ჯორჯიაში, ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული გატაცების საქმეზე დაიწყო გამოძიება, რომელმაც მთელი მსოფლიო მედიის ყურადღება მიიპყრო. გაიტაცეს ამერიკელი მილიონერის ქალიშვილი ბარბარა მაკლი. გამტაცებელი კრისტი საკუთარ თავს კრიმინალური სამყაროს „აინშტაინად“ მიიჩნევდა.**

გერი კრისტი პირველად ქურდობის ბრალდებით 9 წლის ასაკში დაიჭირეს. 14 წლის ასაკში იგი ციხეში აღმოჩნდა მანქანის ქურდობისთვის. მოზარდი მალევე გაიქცა და კვლავ დაიჭირეს – მისი საქმე სწრაფად გავრცელდა როგორც ამერიკული კრიმინალური ისტორიების ნაწილი. 23 წლის ასაკში კრისტი ფიქრობდა, რომ მასშტაბური დანაშაული უნდა ჩაედინა, რათა ერთდროულად ბევრი ფული მოეპოვებინა და თავისუფალი ცხოვრება დაეწყო.

**1968 წლის 17 დეკემბერს კრისტი პოლიციის ფორმაში გამოწყობილი მივიდა ბარბარა მაკლის სასტუმროს კარზე. მასთან ერთად იყო თანამზრახველი რუთ აიზემან-შირი, რომელიც მამაკაცის ტანსაცმელში იყო გადაცმული. ბარბარა მაკლი და მისი დედა სასტუმროს ოთახში იყვნენ. ბარბარა იარაღის მუქარით ჩააგდეს მანქანაში.**

გამტაცებლებმა სპეციალური კუბო მოამზადეს. კუბო სრულად დახურული არ იყო – მას ჰაერის მილები ჰქონდა, რომლებიც მიწის ზედაპირზე იყო ამოშვერილი და ბარბარას სუნთქვის საშუალებას აძლევდა. თუმცა, ნებისმიერი პატარა მოძრაობა, ქარის ან მტვრის შეხება, შესაძლოა მილები გაეფუჭებინა. გამტაცებლებმა მშობლებს ფოტო გაუგზავნეს და 500 000 დოლარის გამოსასყიდი მოითხოვეს. გოგონამ მიწის ქვეშ 83 საათი გაატარა. ამ დროის განმავლობაში იგი ცდილობდა, დრო გაეყვანა – მღეროდა და ყვიროდა, რათა თავგადასავალი უფრო შესამჩნევი ყოფილიყო.

**FBI-ის ასობით აგენტი ტერიტორიას ათვალიერებდა. შემთხვევით, ერთ-ერთმა აგენტმა დაინახა ბორცვი, საიდანაც ჰაერის მილები ამოდიოდა. ბარბარა დაღლილი, მაგრამ უვნებელი იყო. რუთ აიზემან-შირი 4 წლის პატიმრობის შემდეგ ჰონდურასში დაბრუნდა. გერი კრისტიმ 10 წელი ციხეში გაატარა, გამოსვლის შემდეგ კი ექიმი გახდა. ბარბარა მაკლი დაოჯახდა, შეეძინა ოთხი შვილი და ფლორიდაში დასახლდა. გადატანილ ტრაგედიაზე მან წიგნიც დაწერა – „გათენებამდე 83 საათი“, სადაც იხსენებს ჯოჯოხეთს, რომლის მოწმეც გახდა.**




**დედიკო, ყინულზე სასრიალოდ როდის წამიყვან? – ეკითხება გუშინ მეზობლის ბავშვი მშობელს. თითქოს განსაკუთრებული არაფერია, მაგრამ გაგეხარდება კაცს, სავარაუდოდ რამდენიმე საათში რომ დაინტერესდა მომავალი თაობის წარმომადგენელი სპორტის იმ სახეობით, პირველად რომ მოუტანა ოლიმპიური ტრიუმფი ქართულ ზამთრის სპორტს.**

მართალია, სადღაც შეიძლება პარალელის გავლება **ხვიჩა კვარაცხელიას** მაგალითთან, სამამულო ფეხბურთს ახალი სიცოცხლე რომ შთაბერა, მაგრამ ამ შემთხვევაში მასშტაბებს რა მნიშვნელობა აქვს – ისტორია ხომ ორივეჯერ დაიწერა?

კომპოზიციამ საჩემპიონო ბრძოლას ინტრიგა მოუკლა.

არა უშავს – ჩვენი ახალგაზრდა წყვილი კვლავაც შეუტევს ოლიმპს და გვწამს, რომ წარმატებითაც, მით უმეტეს, მიუხედავად ასაკისა, არც გამოცდილება აკლიათ და არც მიღწევები. დიახ, სწორედ პრაქტიკას, სულიერ სიმტკიცეს, ფიზიკურ კონდიციებსა და უმაღლეს საშემსრულებლო ოსტატობას უნდა ვუმადლოდეთ, ოცნება რომ აგვიხდინეს. ჯერ სადა ხართ!

და ბოლოს: ვიდრე ლაურეატთა სადარბაზო ზარათებს გაგაცნობთ, ხაზი უნდა გავუსვათ არსებით ფაქტორს, რატომღაც ყველა რომ გაურბის მის დაკონკრეტებას და წემფასებლები არ გვაკლია. მაგალითად, მთავრობა ვიცე-ჩემპიონებს დამსახურებული 500 ათასი ლარით დაასაჩუქრებს, რაც, დაგვეთანხმებით, მომავალ გმირთათვის დიდი სტიმული იქნება. ჩაროზად, იტალიურ ტრიუმფს გამორჩეულად ვულოცავთ ფედერაციის პრეზიდენტს **მაკა გიორგობიანს,** რომლის მოღვაწეობაც გამარჯვებათა სინონიმად იქცა.

### ლუკა ბერულავა

**სოხუმელთა დევნილი ოჯახის უფროსი შვილი აფხაზეთის ომის შემდეგ მოსკოვში დაიბადა 2002 წლის 27 დეკემბერს.**

ვარჯიშიც იქვე დაიწყო ბაღის ასაკიდან, შემდეგ კი დაოსტატება ჯერ სანკტ-პეტერბურგში განაგრძო, ხოლო შემდეგ პერმში, სადაც **პაველ სლესარენკოს** საყვარელი შეგირდი გახდა.

უამრავი ტიტულის მფლობელის, მათ შორის ერთეულთა თანრიგში მოსკოვის ჩემპიონის პირველი მეწყვილე **ალინა ბუტაევა** გახლდათ, პეკინის ოლიმპიადაზე კი, მე-9 ადგილი რომ დაიკავა, უკვე ახალი პარტნიორი ჰყავდა – **კარინა საფინა.**

**„მართალია, რუსეთში დავიბადე და გავიზარდე, მაგრამ ქართულად ნორმალურად ვსაუბრობ, რაც ჩემი ყველაზე დიდი გულშემატკივრების – მშობლების დამსახურებაა. შვეიცარიაში გამართული ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების დღეებში, სადაც ოქრო მოვიხვეჭეთ, დედ-მამა ეკლესიაში ლოცულობდნენ, ხოლო იქიდან დაბრუნებული რესტორანში წამიყვანეს და იქ შინაურულად აღვნიშნეთ წარმატება. ისე, ჩემზე 4 წლით უმცროსმა დამაც ფიგურული სრიალით დაიწყო კარიერა, მაგრამ შემდეგ სამსახიობო ხელოვნებამ გაიტაცა. დავძენ, რომ სამშობლოში ბოლო ჩამოსვლისას მოვიარე ქუთაისი, სადაც ბაბუას სახლი აქვს, ბათუმსა და თბილისში კი დასვენებაც მოვასწარი. რომ შემეძლოს, უფრო ხშირად ჩამოვიდოდი ხოლმე.**

**რაც შეეხება საქართველოს სახელით გამოსვლას, ამაზე ბავშვობაში ბევრჯერ მიოცნებია და წარმოიდგინეთ როგორი ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემ მწვრთნელთან ქალბატონ მაკა გიორგობიანის შესაბამისი სატელეფონო ზარი გაისმა. რა თქმა უნდა, მაშინვე დავთანხმდი, რაც ჩემ მშობლებსაც ძალიან გაუხარდათ“.**

# ერეკლეს გზით — ტრიუმფისკენ!

მოკლედ, დიდება და მადლობა **ლუკა ბერულავა – ანასტასია მეტელკინას** წყვილს, ნავსი რომ გატეხა და საქართველოს სახელით პირველმა შეაბიჯა ხუთრგოლიანი მილანი – კორტინას საპატიო კვარცხლბეკზე – ეს ვერცხლი ოქროზე არანაკლებ ძვირფასია!

სხვათა შორის, იტალიური ფორუმის თავისუფალ პროგრამაში მოვლენები ისე განვითარდა, რომ შორიდან თვით უმაღლესი ტიტულის კონტურებიც გამოისახა, მაგრამ მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ იაპონელთა – **მიურასა** და **კიჰარას** მიერ გენიალურად შესრულებულმა რილის სათაური გვიკარნახა.: ჩვენი ვერცხლის დუეტი ჩრდილოეთში გამოიწრთო ისევე, როგორც სხვადასხვა ქვეყნების ნაკრებებში გადანაწილებულ რუს ლეგიონერთა საკმაო ნაწილი. კი მაგრამ, ამ ფაქტზე რატომ დუმს ყველაფერზე ენაალესილი ევროპული ბიუროკრატია და მისი ქართული აგენტურა? თუმცა, უკვე იმასაც მივეჩვიეთ, რომ ბევრს დღემდე დაბალ ღობედ მივაჩნივართ, ამიტომ ისინი ისევ დაიბოღმონ, ჩვენ კი ჩვენი საქმის კეთება განვაგრძოთ. მადლობა ღმერთს, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის სახით დამფასებელ-

### ანასტასია მეტელკინა

**დაიბადა 2005 წლის 10 მარტს ქალაქ ვლადიმირში. თავიდანვე ვარჯიშობდა პერმში და ასპარეზობდა რუსეთის სახელით ჯერ დანიილ შვესტოვთან, ხოლო შემდეგ ილია კრასინკოვთან წყვილში.**

ჩვენთვის საგულისხმოა, რომ მეტელკინა – **დანიილ პარკმანი** 2021 წელს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველი წყვილი იყო, რომელმაც საქართველო წარმოადგინა პლანეტარულ ფორუმზე (მე-16 ადგილი).

### ოცნების წყვილი

**ბერულავა-მეტელკინას დუეტი 2023 წლის ივნისში შეიქმნა და ახალგაზრდული მუნდიალის ოქროს გარდა, ევროპის ჩემპიონატებზე ყველა სინჯის მედალს დაეუფლა.**

**ასე რომ, იტალიური ტრიუმფი სავსებით ლოგიკური მოვლენაა. გაგრძელება იქნება!**



# უქმე დღეების ქართული ამბები

### ფეხბურთი

**ერთა ლიგის მე-5 გათამაშების წილისყრის შედეგების გამოქვეყნებისთანავე დაგპირდით, რომ მალევე გაგაცნობდით „ბ“ დივიზიონში საქართველოს ეროვნული ნაკრების შეხვედრათა კალენდარს ჯგუფურ რაუნდში. დღეს ვასრულებთ სიტყვას და თავად განსაჯეთ, რამდენად რეალურია ვილი სანიოლის გაწვრთნილ ჯვაროსანთა დაწინაურების შანსი „ა“ დივიზიონში.**

ცნობისთვის: პირველ მატჩს უმაყურებლოდ გავმართავთ.

**25 სექტემბერი**

საქართველო – ჩრდილოეთ ირლანდია. უნგრეთი – უკრაინა.

**28 სექტემბერი**

საქართველო – უკრაინა. ჩრდილოეთ ირლანდია – უნგრეთი.

**2 ოქტომბერი**

უნგრეთი – საქართველო. უკრაინა – ჩრდილოეთ ირლანდია.

**5 ოქტომბერი**

ჩრდილოეთ ირლანდია – საქართველო. უკრაინა – უნგრეთი.

**14 ნოემბერი**

საქართველო – უნგრეთი. ჩრდილოეთ ირლანდია – უკრაინა.

**17 ნოემბერი**

უკრაინა – საქართველო. უნგრეთი – ჩრდილოეთ ირლანდია.

მართალია, შემოდგომამდე ჯერ შორია და სპარინგებს მარტში გავმართავთ, მაგრამ ჩვენი ლეგიონერები ამთავითვე ემზადებიან მომავალ წარმატებათა მისაღწევად და უქმეები ისე არ ჩაივლის, მორიგი კარგი ამბებით არ გაგვახარონ. ასე მოხდა ამჯერადაც.

**ესპანეთის ლა ლიგა.** ხეტაფე – ვილიარეალი 2:1. პრესტიჟის გოლი შეცვლაზე შესულმა გიორგი მიქაუტაძემ გაიტანა.

**გერმანიის მე-2 ბუნდესლიგა.** ჰამბურგი – უნიონი 3:2. დაბადების დღე ასისტით აღნიშნა მასპინძელმა გიორგი გოჩოლეიშვილმა.

**საფრანგეთის ლიგა** 2. გენგამი – სენტ ეტიენი 1:2. **ზურიკო დავითაშვილი** დუბლით გამოირჩე.

**იტალიის სერია „ბ“.** სპეცია – ფროზინონე 0:2. გოლი და ასისტი – ასეთია **გიორგი კვერნაძის მონაგარი.**




**ევროპის ჩემპიონატის მე-2 ტური**.

ნიდერლანდები – საქართველო 12:61.

პირველი ტაიმი 5:28.

**9 ლელო:** აფრასიძე (2), ივანიშვილი, მატკავა (2), მსტოიანი, ჭუმბაძე, მეტრეველი, შველიძე.

**8 გარდასახვა:** მატკავა. ასე რომ, იგი პარტნიორებს სულ 26(!) ქულით შეეწია.

**ესპანეთი – შვეიცარია 53:14.**

**სატურნირო ცხრილი:** საქართველო, ესპანეთი – 10-10, ნიდერლანდები, შვეიცარია – 0-0 ქულა. **21 თებერვალს ესპანეთს 15 საათზე „ავჭალაზე“ ვუმასპინძლებთ.**

### ჩოგბურთი

**შარმ ელ შეიხი (ეგვიპტე).** ვაჟთა 15-ათასიანი ტურნირი. **I ადგილი** – საბა ფურცელაძე. რეიტინგ-ფავორიტმა მთავარი პრიზი ჩინელ, იაპონელ, იტალიელ, რუს და ფინალში – ბელგიელ მეტოქეთა დამარცხებით მოიპოვა.

### კალათბურთი

**როგორც** გაირკვა, მუნდიალის შესარჩევ ეტაპზე საქართველოსა და დანიის ეროვნულ ნაკრებთა შეხვედრებში (27 თებერვალს კოპენჰაგენსა და 2 მარტს თბილისში) სკანდინაველებს ევროლიგის გადატვირთული კალენდრის გამო ლიდერები **შილდსი** და **ლუნდბერგი** ვერ დაეხმარებიან.

საბედნიეროდ, საპირისპირო სურათია **ალექსანდრ ჯიკიჩის** გაწვრთნილ ჩვენს გუნდში, რომელსაც ნბა-ში მოთამაშეთა გარდა, ყველა ლეგიონერი მატჩის წინა დღეებში დანიაშივე შეუერთდება **თორნიკე შენგელიას** ჩათვლით, რომელსაც წინა საღამოს ევროლიგის შეხვედრაში თამაში უწევს.

და ბოლოს – მთავარი: საქართველოს ერიოვნულ ნაკრებს ახალი ნატურალიზებული 30 წლის მცველი **მარკიზ რიდი** ჰყავს, რომელმაც ტრავმირებული **კამარ ბოლდუინი** უნდა შეცვალოს.

ამერიკელი სნაიპერი ევროპაში 2019 წლიდან თამაშობს და ჯერ ფრანგულ, უკრაინულ და იტალიურ კლუბებში იმკვიდრებდა თავს, ხოლო უკვე მე-4 სეზონია, რაც თურქეთში გადაბარგდა (ბიუკჩემეჩი, თოფაში, ბოლოს – ტრაბზონსფორი), სადაც იქაურ სუპერლიგაში შარშან ყველაზე მეტი ქულა მოაგროვა და ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს.

მნიშვნელოვანია, რომ რიდი წლეულსაც შესანიშნავ კონდიციებშია – 20 მატჩში მისი საშუალო მაჩვენებლები ასეთია: 23 ქულა, 5 ასისტი, 3 მოხსნა და 2 ჩაჭრა.

* * *

**ნბა-ს ყველა ვარსკვლავის მატჩი 3 გუნდის მონაწილეობით. ფინალი.** ვარსკვლავები – ზოლები 47:21. **კობი ბრაიანტის** თასის მფლობელი MVP – **ენტონი ედვარდსი (მინესოტა).** აღსანიშნავია, რომ ზოლების ლიდერი **ლებრონ ჯეიმსი** 22-ედ თამაშობდა ოლ სთარზში და მე-11 დამარცხდა.




**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპორტის რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ 77 წლისა გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა გუნდის ოქროს თაობის ღირსეული წარმომადგენელი, სსრკ ჩემპიონი და თასის მფლობელი, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების ფინალისტი, სოციალისტური სახელმწიფოების დინამიადის 2-გზის გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი**

## ზურაბ ქარაბაკი

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

სულთათანა

# მემატიანე და კოლორიტი



სამწუხაროა, რომ სასიქადულო მამულიშვილის, უგულითადესი მეგობრის, ჭეშმარიტი ადამიანის, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატის, ზუგდიდის შესანიშნავი მემატიანის და კოლორიტის, სტუმართმოყვრისა და გულისხმიერი პიროვნების, განსაკუთრებული ინტელექტით გამორჩეულის, პარტიული და სამეურნეო საქმის თვალსაჩინო მოღვაწის, ბატონი **ოთარ ჭითანავას** სახელის ხსენება წარსულში გვიხდება. მან თავისი ცხოვრების შეგნებული წლები გაატარა ჩვენი ქვეყნის მომავალზე ზრუნვის სამსახურში. ნიჭიერებამ, პასუხისმგებლობამ, შრომისმოყვარეობამ, საქმისადმი გულწრფელმა დამოკიდებულებამ მის პიროვნებას განსაკუთრებული ხიბლი შესძინა და საზოგადოებაში თავისი კუთვნილი ადგილი დაუმკვიდრა.

ოთარ ჭითანავა დაიბადა 1938 წლის 29 დეკემბერს სოფელ ჭკადუაშში, ზუგდიდის რაიონში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი 1960 წელს და ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლა 1982 წელს; 1964-1966წწ. მუშაობდა „ენგურჰესის“ კასკადის ინჟინრად; არჩეული იყო მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის მდივნად; 1967-1973წწ. იყო საქართველოს კომკავშირის ზუგდიდის ქალაქკომის პირველი მდივანი; 1973-1980წწ. – სახალხო კონტროლის ზუგდიდის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე; 1980-1985წწ. – „ენგურჰესის“ მშენებლობის პარტიული კომიტეტის მდივანი; 1985-1986წწ. – საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის ქალაქკომის მეორე მდივანი; 1986-1988წწ. – ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე;

1988-1990წწ. – საქართველოს მშენებლობის სამინისტროს N12 სამშენებლო ტრესტის მმართველის მოადგილე;

1980-1991წწ. – არჩეული იყო საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის მდივნად;

1993 წლიდან იყო ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი, კათედრის გამგე, სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;

1999-2004წწ. იყო საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი, არჩეული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად;

ბატონი ოთარი ბრძანდებოდა საქართველო-უკრაინის კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და ალმანახ „ენგურის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი;

მიღებული აქვს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოქროს მედალი. 1999 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

საქართველოში ოლიმპიური მოძრაობის განვითარებაში, სტუდენტ-ახალგაზრდობაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასობრივი გამაჯანსაღებელი ფორმების დანერგვისა და პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობისათვის მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

ბატონი ოთარი გამოირჩეოდა პოპულარობით საზოგადოების ყველა ფენაში. მისი გვერდით ყოფნა სასიხარულო და საამაყო იყო მეგობრებისა და ნაცნობებისთვის. მიმტევებელს, კაცთმოყვარეს, უბოროტოს, ჭირსა და ლხინში გვერდში მდგომს არ ჰქონდა ოქროს შუალედი, თავდავიწყებით იცოდა სიყვარული, მოლხენა, მეგობრობა, ერთგულება.

ბატონი ოთარი იყო ზუგდიდის კოლორიტი და მემატიანე, რომლის ადამიანური თვისებები ზუგდიდსაც სცილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურებრივად ძალიან დატვირთული იყო, მაინც ახერხებდა სტუმრის სათანადო პატივისცემას. მან იმდენი სიკეთე თესა, რომ სწორედ ამით შეაყვარა თავი გარშემო მყოფთ. ის იყო საიმედო მეუღლე, მამა, ბაბუა, ერთგული ძმა, ჩინებული პიროვნება, ჭეშმარიტი პატრიოტი.

ყველა უყვარდა და ყველას ეფერებოდა და თანაუგრძნობდა, ყველასთან პოულობდა საერთო ენას.

ყველა საქმეში ლიდერი, მენეჯერი, იუმორისტი, პოეზიის, ლიტერატურის, სპორტის, ისტორიის მოტრფიალე და დიდი მოამაგე; იგი საუკეთესო ადამიანური თვისებებით იყო შემკული. დაუდეგარი და ბობოქარი ხასიათის პიროვნება, განსაკუთრებული სილაღითა და სიყვარულით გამოირჩეოდა.

ბატონი ოთარი მისაბაძი იყო სტუმართმოყვარეობით და ქართული სუფრის ტრადიციულობის პატივისცემით. ჰყავდა უამრავი მეგობარი, ამასთან არ ივიწყებდა გარდაცვლილ მეგობრებს და ყურადღებას აქცევდა მათ ოჯახებს. იგი ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი უნიკალური ადამიანური თვისებებით და ხასიათით, იყო ღვთისნიერი ადამიანი, რომელიც მეგობრებთან, კოლეგებთან, ახლობლებთან გასაოცარ სითბოს აფრქვევდა. მისი ცხოვრება არის მაგალითი, თუ როგორი სიფაქიზით, ერთგულებით, მადლიერებით უნდა იყოს გამსჭვალული ქართველი კაცი წინაპრების, ოჯახის, მეგობრების, ნათესავებისა და კოლეგების მიმართ. დაფასება, პატივისცემა მასთან თავისით არ მოსულა. ეს მან წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელი შრომით დაიმსახურა. ამის დასტურია მისი მრავალმხრივი საქმიანობა და დიდი აღიარება.

ცხოვრება და საზოგადოება უმეტეს შემთხვევაში ოთარ ჭითანავას მსგავს პიროვნებებს არ ანებივრებს და ძეგლს არ უდგამს, მაგრამ თავისი მოღვაწეობით და კეთილი საქმიანობით სულიერი ძეგლი ააგო მათ ხსოვნაში, ვისთანაც ცხოვრობდა, თანამშრომლობდა და მეგობრობდა. ოთარ ჭითანავას გარდაცვალებით გამოწვეულმა სიცარიელემ დაისადგურა სამეგობროში, საზოგადოების დიდ ნაწილში, ვისთვისაც ის გახლდათ კაცურ-კაცობის და ზნეობის მაგალითი, ბუნებისგან მომადლებული დიდსულოვნებით, კეთილშობილებითა და სათნოებით.

ბატონი ოთარი ამ ქვეყნიდან პირნათელი, ვალმოხდილი წავიდა. ღმერთმა ზეციურ საქართველოშიც ნათელში ამყოფოს მისი სული.

ჯუმბერ პატიაშვილი, ნოდარ ჭითანავა, როინ მეტრეველი, ვალერი ასათიანი, ვაჟა ლორთქიფანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ვაჟა თორდია, ნოდარ ემუხვარი, ირაკლი ჩიქოვანი, მერაბ ქვარაია, ედიშერ თოლორაია, გიორგი გუგუჩია, ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, კლიმენტ ჯანჯღავა, იგორ და მამუკა ქობალიები, ალვერ იზორია, გურამ ახალაია, ვახტანგ ყოლბაია, რაულ ჩილაჩავა, გური ოტობაია, სპარტაკ ქობულია, მამუკა ვაშაკიძე, თამაზ ცანავა, თემურ შაშიაშვილი, დემურ გადელია, ფრიდონ ინჯია, მიტროპოლიტი გერასიმე (შარაშენიძე), დეკანოზი მალხაზ ჭანტურია, დავით ვერავა, ნინო ვიბლიანი, დავით კუხალეიშვილი, მამუკა წოწერია, დავით კოდუა, ზურაბ აბშილავა, ლაშურ ჯანაშია, დემიკო ლოლაძე, ვალერი მოქერია, დავით ქობალია, გივი აბდუშელიშვილი, ჯემალ კვირტია, ნუგზარ სულავა, რამაზ მხეიძე, ანზორ დარასელია, თენგიზ ჩაჩიბაია, მურთაზ მამისეიშვილი, ზაურ თელია, ნოდარ ტყეშელაშვილი, ჯემალ ხაჩიძე, მამუკა კვარაცხელია, ბესიკ ჭეჟია, თაზო ფაცაცია, კონსტანტინე კაკავა, გურამ ფიფია, მალხაზ თორია, თენგიზ შანავა, რაულ ჯახია, ტარიელ დგებუაძე, თემურ მურღულია, დავით ქანთარია, გოგი ფაცაცია, გიორგი დარჯანია, ერეკლე ჯაფარიძე, ზაურ გვასალია, მელორ ზარქუა, გონერ სალია, შაქი ლატარია, იური გუგუჩია, ნუგზარ მალაშხია, რუსუდან ფაცაცია, მარინა ჯიქია, ნათია ჯგუშია, ლაშა გვასალია, კლიმენტ კიკალიშვილი, თენგიზ ჭითანავა, ვახტანგ ცხადაია, ირაკლი გოგოხია, მურმან ნაჭყებია, ლავრენტ კემულარია, ნუგზარ სართანია, გიორგი ყუფუნია, ემზარ კვარაცხელია, მურთაზ ბოკუჩავა, გული აგუმავა, დემურ ჭანტურია, ვაჟა ფიფია.

# დანაკლისი მთელი საქართველოსთვის



15 თებერვალს, მირქმას, გარდაიცვალა ჩვენი მეგობარი, გამორჩეული კოლხი რაინდი ოთარ პალადის ძე ჭითანავა.

დაიბადა 1938 წლის 29 დეკემბერს სამეგრელოს ისტორიულ სოფელ ჭკადუაშში, საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა. მისი შრომითი ცხოვრების დიდი ნაწილი, 20 წელიწადზე მეტი, საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანთან ენგურჰესთან იყო დაკავშირებული. 1964-1985 წლებში მუშაობდა „ენგურჰესის“ კასკადის ინჟინრად; არჩეული იყო მშენებლობის კომკავშირის კომიტეტის და შემდგომ პარტიული კომიტეტის მდივნად.

წლების განმავლობაში მშობლიური ზუგდიდის რაიონის პასუხისმგებელ პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე მოღვაწეობდა. 1993 წლიდან ის იყო ზუგდიდის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის პრორექტორი, კათედრის გამგე, სპორტის აკადემიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხოლო 1999-2004 წწ. – საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი. ბატონი ოთარი არჩეული იყო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის კომიტეტის თავმჯდომარედ, რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტად, იყო საქართველო-უკრაინის კულტურულ-ეკონომიკურ ურთიერთობათა საერთაშორისო ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი და ალმანახ „ენგურის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

დაჯილდოებული გახლდათ ღირსების ორდენითა და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოქროს მედლით.

ბატონი ოთარის წასვლა ამ ქვეყნიდან უდიდესი დანაკლისია არა მარტო მისი ლამაზი ოჯახისა და მონაგარისთვის, სანათესაოსა და სამეგობროსთვის, არამედ მთელი მისი მშობლიური კუთხის – სამეგრელოსა და სრულიად საქართველოსთვის.

მშვიდობით, ჩვენო კარგო მეგობარო, მირქმას წასული შეუერთდი საქართველოს ზეციურ რაინდთა კოჰორტას.

საქართველოს მშენებელთა ფედერაცია,

მეგობრები: ბაკურ გულუა, ნუგზარ კახიშვილი, კოტე შენგელია, თემურ ჯანაშია, ნუკრი გოგიტიძე, გია გვაზავა, სოსო ხარებავა, თემურ დანელია, სოსო ჯღარკავა, გურამ კაკულია, გია ბერაძე, მერაბ კილაძე, ზურაბ ჩიქოვანი, გია კახეთელიძე, ზურაბ კუტივაძე, გია მიქაძე, ედიშერ მაჩაიძე, რუბენ გახარია, საშა ჩოჩია, მურმან არაბიძე, ბიჭიკო არაზაშვილი.

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდი ღრმა მწუხარებით იუწყება ფონდის ერთ-ერთი დამფუძნებლის, ბატონი

**ოთარ ჭითანავას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვაჟა ნადირაშვილი,

საქართველოს არქიტექტორთა და მშენებელთა საენციკლოპედიო-საგამომცემლო ფონდის თავმჯდომარე



# შიობობა

19 თებერვალს, მირქმის დღესასწაულის წარგზავნის დღეს, საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს შიობას.

ყველიერის ხუთშაბათს აღინიშნება წმინდა შიოს საფლავთან აღსრულებული სასწაული – ამ დღეს ღირსი მამის წმინდა ნაწილნი აღმოდიან მღვიმიდან და ნაპირზე დასვენდებიან სასოებით მლოცველთა თაყვანისცემად.

ამბობენ, სარკინეთის უდაბურ უდაბნოში მოღვაწე მამას მტრედი უზიდავდა საზრდოს... სასწაულების აღსრულების შემდეგ შიომ პირობა დადო, რომ დარჩენილ სიცოცხლეს მღვიმეში გაატარებდა. ის მღვიმეში 15 წელიწადი მოღვაწეობდა.

**გიული ლიპარტია**




„ბერლინალეს" ევროპული კინოს ბაზრობაზე, ქართველი რეჟისორის გიორგი ოვაშვილის ახალი სრულმეტრაჟიანი ფილმის „მთვარე მამაა ჩემი" კინოჩვენება გაიმართა.

# გიორგი ოვაშვილის „მთვარე მამაა ჩემი" „ბერლინალეს" ევროპული კინოს ბაზრობაზე

კინოჩვენების პარალელურად, საქართველოს პავილიონში კინოცენტრის დელეგაცია ევროპელ კოლეგებთან ინდუსტრიულ შეხვედრებს მართავს. ევროპული კინოს ბაზრობა წელს 140-მდე ქვეყნის დელეგაციებს და კინოინდუსტრიის წარმომადგენლებს მასპინძლობს. მათ შორისაა, ეროვნული კინოცენტრი, რომელიც ყოველწლიურად წარმოადგენს საქართველოს ეროვნულ პავილიონს.

# „მიწასა და თვალს შორის"

**20 თებერვლიდან 8 მარტის ჩათვლით, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის დროებით საგამოფენო დარბაზში, თედო რეხვიაშვილის გამოფენა – „მიწასა და თვალს შორის" გაიმართება.**

თედო რეხვიაშვილი 1990 წელს დაბადებული თანამედროვე ქართველი არტისტია. მის შემოქმედებაში – სოციალურ, პოლიტიკურ, ფილოსოფიურ ნამუშევრებსა თუ ცალკეულ პეიზაჟში – ხშირადაა ასახული ქართული ლანდშაფტი, მისთვის მშობლიური ადგილები. სხვადასხვა მედიუმში მუშაობის მიუხედავად, აკვარელი ავტორისთვის წარმოადგენს იმ მასალას, რომლითაც ხედი იქცევა არა მხოლოდ პეიზაჟად, არამედ შინაგან გამოცდილებად – იმ ზონად, რომელიც მიწასა და თვალს შორის არსებობს.

**თედო რეხვიაშვილის პეიზაჟებში წარმოდგენილი ადგილები რეალურია, თუმცა მათი არსებობა ქაღალდზე, სცდება გეოგრაფიას. ნანახსა და გახსენებულს შორის იბადება განსხვავებული ლანდშაფტი – აღქმითა და განცდით ფორმირებული სივრცე.**

ექსპოზიციის ტექსტობრივ ღერძს წარმოადგენს თავად მხატვრის სიტყვები:

**„თვალებს როცა ვხუჭავ და ვიხსენებ, ქართული ლანდშაფტი ჩემთვის ასეთია: ძალიან მეჩხერი, ველებად დაშლილი ფერდობები, ყანებად დასერილი ველები, რომლებსაც ხეხილისა და ტყემლის ხეები, ბუჩქები და ბარდები ყოფს. ეს ყველაფერი დაბლა გადადის ოხრანარევ კლდეებსა და ქვაღორღიან ჭალებში, მომწვანო-მონაცრისფრო მდინარით, მურყნებითა და ტირიფებით ნაპირების გასწვრივ, სადაც თავკომბალებიან გუბურებში ლურჯი ცა ირეკლება. მაღლა და მაღლა მინდვრები მუხისა და თხმელის ტყეებში გარდაისახება, მერე კი ნაძვნარითა და ფიჭვნარით უერთდება ნაცრისფერ კლდოვან მთებს. სოფლის არქიტექტურაც ველურია, გახუნებულ-განაცრისფრებული ფიცრულებითა და ღობეებით.**

**ჩემი სამშობლოსთან ურთიერთობა და სიყვარული სამცხის მთებიდან მოდის. იქ შევიცანი პირველად ბუნებაცა და სოფელიც. ანკარა ნაკადულის სიცივეც და ნამიანი ბალახის სურნელიც სამუდამოდ იქაური დამრჩა. მთლიანობაში, ჩემთვის ქართული პეიზაჟი ალბათ მშვენიერ ფორმათა აურზაურია, ბევრი ჭაობისფერით, მწვანით, უმბრათი და იისფერით. პეიზაჟები არ ასახავს მხოლოდ კონკრეტულ მხარეებსა და ადგილებს, არამედ იქცევა ფერის, ელფერის სხვადასხვანაირ მდგომარეობად, ჰორიზონტებისა და ფორმათა თანაარსებობით. აკვარელი ის ჰაეროვანი სივრცეა, რომელიც მძიმე წარსულის მქონე ქართულ მიწასთან ურთიერთობას მიმსუბუქებს, შეხებას მიადვილებს. ესაა ლაქა ლაქაზე, დინება და შეჩერება იმგვარად, როგორც პეიზაჟი ცხოვრობს ჩემს თვალსა და მეხსიერებაში.**

**ყოველდღიურად, ყველა ჩვენებურ გზას გავდივართ ბუნებამდე. მიწასა და თვალს შორის არ არსებობს მკაფიო საზღვარი – არსებობს სივრცე, სადაც მატერია და აღქმა, წარმოდგენა და მეხსიერება თანაარსებობს. აკვარელი, თავისი გამჭვირვალობითა და დინებით, სწორედ ამ შუაგულში მუშაობს. ფორმები ჰაეროვნად ენაცვლებიან ერთმანეთს, ფერი კი სუნთქავს".**






# ირლანდიაში, ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, კვირაში 325 ევროს მიიღებენ

**ირლანდიის მთავრობა შემოქმედებითი პროფესიონალებისთვის საბაზისო ფინანსური დახმარების პროგრამას იწყებს, რომელიც, დაახლოებით, 2000 ხელოვანსა და შემოქმედებით პროფესიონალს სამი წლის განმავლობაში გარანტირებული შემოსავლით უზრუნველყოფს.**

ინიციატივის მიზანია, მონაწილეებს მისცეს შესაძლებლობა, ფოკუსირება მოახდინონ შემოქმედებით საქმიანობაზე და ამავდროულად, ცხოვრების სტაბილური დონე შეინარჩუნონ.

პროგრამა სამწლიანი საპილოტე პროექტის გაგრძელებაა და შექმნილია სპეციალისტებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ შერჩევის დადგენილ კრიტერიუმებს. მონაწილეებისგან მოსალოდნელია, რომ ისინი კვირაში 386 დოლარს მიიღებენ. ძირითადი სამწლიანი პერიოდის დასრულების შემდეგ, დაგეგმილია დამატებითი სამთვიანი პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გადახდის ოდენობა თანდათან შემცირდება.



**პროგრამაში მონაწილეობის მიღება სხვადასხვა ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებს, მათ შორის მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს, მუსიკოსებს, რეჟისორებს და ვიზაჟისტებს შეეძლებათ.**



# ეროვნულ ბიბლიოთეკაში ნიკო სამადაშვილის ლექსებს წარადგენენ

**20 თებერვალს, 17:00 საათზე, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ნიკო სამადაშვილის ლექსების კრებულის წარდგენა გაიმართება.**

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, გამოცემა პოეტის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს ეძღვნება.

**წიგნის გამოცემაზე მუშაობდნენ ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების თანამშრომლები: თამარ ხიზამბარელი და დარეჯან თეთრაშვილი. გამოცემას ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელიც ქართველოლოგიის განყოფილების უფროსმა ნანი მაჭავარიანმა შეადგინა.**



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ კობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან კობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ფავორიტში"
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 20 თებერვალს